ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ომარ ნიშნიანიძე „ქართული ოცნებიდან“ მიდის

„ივანიშვილმა მითხრა, ნაციონალებს ძალიან ხისტად მოიხსენიებო“

გვ.3

23 მაისიდან
ჯეკ ლონდონი
ზღვის მგელი
თავგადასავალი, ფანტასტიკა. ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ორშაბათი, 23 მაისი, 2016 | №120 (7046) | ფასი: 50 თეთრი

ზუგდიდში ბოკერიას, მელიასა და გუნავას სასტიკად სცემეს

გვ.2

ნუგზარ წიკლაური: „ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიექანება“

ნაციონალებმა კორცხელში თავდამსხმელთა სია გამოაქვეყნეს

დიმიტრი შაშკინი: „სად იყვნენ ეს კუნთმაგარი ბიჭები, როცა რუსი ეფრეიტორი კლავდა ქართველ ახალგაზრდას“

გვ.6

ლია მუხაშავრია: „პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში ცვლილებებს ვეტო უნდა დაადოს“

გვ.5

არჩილ თალაკვაძე: „სანამ მკვლელი არ დაისჯება, ჩვენ არ გავჩერდებით“

გვ.4

ლევან იზორია: „მინდა პრინციპულად განვაცხადო, რომ ხელისუფლება ხურჩაში მომხდარ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს“

ISSN 1987-9385

მერიამ ტენდერის გარეშე 257 ხელშეკრულება გააფორმა

რამდენი მილიონით იზარალა თბილისის ბიუჯეტმა

გვ.6

კვირიკაშვილი: „საქართველო საქმიანი წრეებისთვის უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება“

გვ.6

ზუგდიდში ბოკერიას, მელიასა და გუნავას სასტიკად სცემეს

გუშინ, 22 მაისს, ზუგდიდში, კორცხელის საარჩევნო უბანთან, საშინელი ცემა-ტყეპა გაიმართა. კუნთმაგარი მოქალაქეები სასტიკად გაუსწორდნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს. ყველაზე მეტად გიგა ბოკერია, ნიკა მელია და თენგიზ გუნავა დაშავდნენ.
მომხდარზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება ნაციონალებს აკისრებს, ნაციონალური მოძრაობა კი ხელისუფლებისკენ იშვერს თითს. ისინი ყველას და მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობას მომხდარზე რეაგირებისკენ მოუწოდებენ. მათი მტკიცებით, ხელისუფლება სისხლისღვრისთვის ემზადება.
კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.



ნუგზარ წიკლაური: „ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიექანება“

შორენა მარსაგიშვილი

ნუგზარ წიკლაური:

– ის, რაც 22 მაისს მოხდა, მოსალოდნელი იყო. ჯერ კიდევ 21 მაისს ზუგდიდში მოხდა კუნთმაგარი ხალხის მობილიზება. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ისინი არიან ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები, კარატესა და სამბოს ფედერაციის წარმომადგენლები. ისინი თავიდან ქალაქ ზუგდიდის ქუჩებში გადაადგილდებოდნენ, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღშიც შენიშნეს. დაახლოებით 50 კუნთმაგარი მამაკაცი კორცხელის საარჩევნო უბანზე იყო გამაგრებული.

ეჭვგარეშეა, რომ ის, რაც მოხდა 22 მაისს, ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული. ახლა, როცა თქვენ გესაუბრებით, ეს ადამიანები „ქართული ოცნების“ შტაბში იმყოფებიან.

ასეთი სისასტიკე საქართველოში უკვე დიდი ხანია, აღარ მინახავს. კორცხელის ინციდენტმა 1990-იან წლებში მხედრიონისა და სხვა ფორმირებების მიერ სამეგრელოს დარბევა გამახსენა. ეს ადამიანები ასეთივე სისასტიკით გამოირჩეოდნენ. მათ ჰქონდათ ხელკეტები, რკინის ნაჭრები და რაღაც სპეციალური მოწყობილობები. ამ იარაღით ადამიანებს დაუნდობლად უხეთქავდნენ თავებს. სრულიად უდანაშაულო ადამიანებს უმიზეზოდ დასდევდნენ და სცემდნენ.

– ინციდენტის შედეგად თქვენი პარტიის რამდენიმე ლიდერი დაშავდა. გიგა ბოკერია, ნიკა მელია, თენგიზ გუნავა სერიოზულად არიან ნაცემები. რა ვითარებაში მოხდა მათი ცემა?

– ჩვენი ლიდერები და მხარდამჭერები მშვიდად იდგნენ საარჩევნო უბანთან. იქ ისეთი არაფერი ხდებოდა, სანამ კუნთმაგარი ხალხი არ მოვიდა. ისინი გადავიდნენ პროვოკაციაზე. იგინებოდნენ, ჩვენს მომხრეებზე იწვნევდნენ. ერთ-ერთი მორიგი დაპირისპირებისას მთლიანად დაიძრნენ და სასტიკად გაუსწორდნენ იქ მყოფებს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ესენი არ ყოფილან „ქართული ოცნების“ ჩვეულებრივი მხარდამჭერები. ისინი იყვნენ საგანგებოდ გაწვრთნილი ადამიანები, რომლებიც ზუგდიდში სპეციალურად ჩამოიყვანეს. ხელისუფლება, რომელიც ასეთ კუნთმაგარ ხალხს ჩამოიყვანს მეგრელების შესაშინებლად, რასაც მიიღებს, ამასაც კარგად ვნახავთ.

ასეთი ინციდენტები სხვა დროს სხვა ქალაქებშიც მომხდარა. ეს საშინელი სენი ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შემდეგ დამკვიდრდა და შესაძლოა ძალიან ცუდ შედეგებამდე მივიდეთ. ამ საშინელების შეჩერება მხოლოდ მძლავრი საჯარო პროტესტით შეიძლება.

– თქვენ თქვით, რომ საგანგებოდ ჩაყვანილი ხალხი გაუსწორდა ნაცმორრაობის მომხრეებს. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე კი ამტკიცებს, რომ ეს იყო მოსახლეობა.

– ეს განცხადება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ხელისუფლება ძალადობაზეა გადასული. როდესაც დაინახეს, რომ კორცხელში არჩევნებს აგებდნენ, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ასეთი სისხლიანი გზა აირჩიეს. ეს ძალიან მარტივი გამოსაცნობია და უნამუსო იქნება ის ადამიანი, რომელიც 22 მაისს მომხდარ დაპირისპირებას სხვა შეფასებას მისცემს.

– თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ასეთი სისასტიკე მაშინ ნახეთ, როცა 90-იანებში მხედრიონი არბევდა სამეგრელოს. 2012 წლის ივლისში სოფელ კარალეთში ნაცმოძრაობის მომხრეები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებსაც სასტიკად გაუსწორდნენ. ამაზე რას იტყვით?

– არცერთ ასეთ ინციდენტს გამართლება არ აქვს. ვიღაცებს კარალეთის ინციდენტი თუ არ მოეწონათ, მაინტერესებს, რატომ უნდა მოიწონონ მათ კორცხელში მომხდარი სისხლისღვრა?! კარალეთის ინციდენტი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და დღესაც ვგმობ იმ ფაქტს. მაშინ ძალადობა იყო, მაგრამ ისეთი აღვირახსნილი სისასტიკე, როგორიც 22 მაისს მოხდა, არასდროს მინახავს.

მომხდარი მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ზემოდან არის პოლიტიკური დავალება, რომ „ოცნების“ მომხრეები წავიდნენ სისხლისღვრაზე. მათ უკვე ახლავე იციან, რომ არჩევნები ხელისუფლებისთვის კარგად არ დასრულდება. სამეგრელოში კი საერთოდ ხმას ვერ ეღირსებიან და ამაში ძალიან მალე დარწმუნდებიან.

22 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით საზოგადოებამ მძლავრი პროტესტი თუ არ გამოხატა, თუ არასამთავრობოებმა ხმა არ ამოიღეს, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად მსგავსი შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, საქართველო სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე დგას. ასე თუ გაგრძელდა, ფატალურ შედეგებამდე მივალთ. გაკვირვებული ვარ და მართლა ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, როგორ არ დაიღუპნენ 22 მაისს ადამიანები. ისეთი თავდასხმები და სისასტიკე იყო, რომ მსხვერპლი თითქოს გარდაუვალი იყო.

ასეთ ძალადობას ყოველთვის ასეთი ბედნიერი დასასრული ვერ ექნება, თუ ამას ბედნიერი დასასრული შეიძლება ეწოდოს. ჩვენ ყველა ღონეს მივმართავთ, რომ ხელისუფლების თავგასულობა შევაჩეროთ.

ჩვენ უკვე მივმართეთ საერთაშორისო თანამეგობრობას, არასამთავრობოებმაც გააკეთეს განცხადებები. ეს მოწოდებები მომავალშიც გაგრძელდება. რამენაირად უნდა შევაჩეროთ ხელისუფლება, რომელმაც წინასწარ იცის, რომ არჩევნებს მშვიდ ვითარებაში ვერ მოიგებს.

მათ ჩაატარეს შიდა კვლევები, იციან, რომ შედეგი მათთვის არასახარბიელო იქნება, ამიტომ მიდიან ყველაფერზე. ეს სამოქალაქო დაპირისპირებით დასრულდება. სამოქალაქო დაპირისპირება იქამდე მიიყვანს ჩვენს საქართველოს, რომ ევროპაში კი არა, არცერთი ქვეყანა არ გაგვიღებს კარს. ჩვენ 22 მაისის ინციდენტს ასე არ დავტოვებთ. ახლავე თუ არ შევაჩერეთ ველური ჟინით შეპყრობილი ხელისუფლება, ხვალ შესაძლოა გვიან იყოს.

– ვიცეპრემიერი კახა კალაძე ამბობს, რომ ეს იყო თქვენ მიერ მოწყობილი პროვოკაცია და ხელისუფლება არაფერ შუაშია.

– და ვის მოვუწყვეთ პროვოკაცია, 50-მდე კბილებამდე შეიარაღებულ ზონდერს? სოციალური ქსელებით უკვე გამოქვეყნდა ამ ადამიანების ვინაობა და ფოტოები. ყველამ კარგად ვნახეთ, რომ ამ ადამიანებს ფოტოები აქვთ გადაღებული კახა კალაძესთან და „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებთან. ესეც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან.

მომხდარში რომ ხელისუფლების ხელი ურევია, ეს პოლიციის ქმედებებიდანაც გამოჩნდა.

– პოლიციამ რაღა ჩაიდინა?

– პოლიცია საერთოდ გამოთიშული იყო ამ პროცესებიდან, ხელიც კი არ გაუნძრევიათ, რომ მოძალადეები შეეჩერებინათ. მეტსაც გეტყვით, ეს მოძალადეები სამართალდამცავებს მუქარის ტონით მიმართავდნენ, ახლოს არ მოგვეკაროთო. ცხადზე ცხადია, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების პირველი პირების მხრიდან იმართებოდა.

ნაციონალებმა კორცხელში თავდამსხმელთა სია გამოაქვეყნეს

გუშინ, 22 მაისს, საქართველოში საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართა.

სერიოზული ინციდენტი მოხდა კორცხელის 53-ე უბანზე, რის შედეგადაც დაშავდნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები ნიკა მელია, გიგა ბოკერია და თენგიზ გუნავა, ასევე, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და აქტივისტები.

ნაციონალ გოკა გაბაშვილის თქმით, ნაციონალებზე თავდამსხმელთა უშუალო ხელმძღვანელი და დამფინანსებელი არის კახი კალაძე, უშუალო ხელმძღვანელობას კი ახორციელებს გიორგი არეშიძე.

– ის ქირაობს სპორტულ დარბაზს, სადაც იწვრთნებიან ასეთი ცემა-ტყეპისთვის ასეთი ზონდერჯგუფები, მისი ენჯეოს საფარქვეშ კეთდება ეს ყველაფერი, რეკრუტირებას ახდენს გეგა გეგეშიძე, რომელიც იყო ჭიკაიძის დაცვის უფროსი, მისი ბიძაშვილი იყო მთავარი ინიციატორი ამ ცემა-ტყეპისა, ვლადიმერ გეგეშიძე, კალაძესთან არის აქ კობა ტყეშელაშვილი, რომელიც დღეს ძალიან აქტიური იყო.

ჩვენ ვახდენთ სახეებით ყველას იდენტიფიცირებას. ჯერჯერობით იდენტიფიცირებულია 14 ადამიანი: გიგა ტყემალაძე, ვლადიმერ გეგეშიძე, გიო უბილავა, ნოშრევან წურწუმია, ლევან დემურია, გიორგი გიგაური, ლაშა დვალიშვილი, გიორგი კურუა, დავით ხორავა, ნიკა ჭკადუა, ნიკა ნანობაშვილი, ვახტანგ წურწუმია. ეს იყო მთავარი ადამიანები, ამ ადამიანებზე ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ.

გოკა გაბაშვილი: „ჯერჯერობით იდენტიფიცირებულია 14 ადამიანი“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ომარ ნიშნიანიძე „ქართული ოცნებიდან“ მიდის

შორენა მარსაგიშვილი

„ივანიშვილმა მითხრა, ნაციონალებს ძალიან ხისტად მოიხსენიებო“

„მე და მეჭიაური კულულებიანი ბიჭების ჩამოსაწერი გავხდით“

რაზე ესაუბრა „ქართული ოცნების“ წევრებს ბიძინა ივანიშვილი, ვინ და რა დღეში ჩააგდო დავით კოღუაშვილი, ვინ მოდის „ქართული ოცნებიდან“ და შექმნიან თუ არა ახალ პარტიას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

ომარ ნიშნიანიძე:

– რამდენიმე დღის წინ გადაწყდა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება“ პრემიერს შეხვდებოდა. ეს შეხვედრა ძალიან ცხარე იქნებოდა, მას ბიძინა ივანიშვილი რომ არ დასწრებოდა. ჩვენ ყველას მისი დიდი ხათრი გვაქვს და ემოციები ყველამ მოვთოკეთ. როდესაც პარტიაში ვითარება რთულდება, ივანიშვილი ყოველთვის მოდის და ცდილობს ჩვენს დაწყნარებას.

– შეხვედრა ცხარე იქნებოდაო და ეს, ალბათ, კოღუაშვილის განცხადებებს უკავშირდებოდა.

– მისმა განცხადებებმა ყველა გაგვაცხარა, რომ იტყვიან, ხმლები ალესილი გვქონდა, მაგრამ ივანიშვილის ხათრით ქარქაშში ჩავაგეთ. კოღუაშვილის განცხადებების გამო ძალიან შეწუხებული იყო გიორგი კვირიკაშვილი. მას პოლიტსაბჭოს ახალი წევრის უტაქტო და უადგილო განცხადებამ დიდი დარტყმა მიაყენა.

სანამ ჩვენ დავიწყებდით ამ თემაზე საუბარს, თავად პრემიერმა გვითხრა, მეც ზუსტად იმ აზრზე ვარ, როგორზეც თქვენო. ისიც გვითხრა, ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ ამ განცხადებებზე ქიზიყური რეაქცია მქონდაო.

– ეს კოღუაშვილი ადრეც ასე დადებითად იყო ნაციონალების მიმართ განწყობილი?

– როგორც კვირიკაშვილმა თქვა, ადრე მიშას წინააღმდეგ იყო განწყობილი და ახლა რა დაემართა, არ ვიციო.

– ამის მიუხედავად, რჩება ის გუნდში?

– ის საკუთარ თავს უკვე გუნდის ლიდერად მოიაზრებდა და ამის შესახებ თქვა კიდევაც. მერაბიშვილისა და უგულავას მიმართ სიმპათიების გამოხატვით, ფაქტობრივად, ხარაკირი გაიკეთა. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, პარტიაში გადამწყვეტი სიტყვა რომ მეთქმოდეს, კოღუაშვილს უკანა კარიდან გავაპარებდი.

მან თავისი პოზიციით ყველა იმ ადამიანს მიაყენა შეურაცხყოფა, რომლებმაც იმ 9 წლის განმავლობაში უბედურება გადავიტანეთ. ჩვენი თავი ჯანდაბას, მაგრამ ამან ჩვენს მომხრეებზე, რომელთა ოდენობა ისედაც განახევრებულია, საშინლად იმოქმედა. არჩევნების წინ მომხრეების განაწყენება პარტიის ინტერესში ნამდვილად არ შედის. კოღუაშვილის მენტალობის მქონე ადამიანებთან ერთად პარტიაში ყოფნა ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება.

– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნებიდან“ მიდიხართ?

– ალბათ, მივიღებ ამ გადაწყვეტილებას. წამოვალ პარტიიდან, თუმცა იმ იდეალების ერთგული დავრჩები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ აქვს. პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა ჩემმა მეგობარმა თამაზ მეჭიაურმა. კიდევ არიან იქ ბიჭები, რომლებსაც უნდათ წამოსვლა.

– ვინ შეიძლება კიდევ წამოვიდეს „ქართული ოცნებიდან“?

– რამდენიმე ადამიანი ფიქრობს ამაზე, მაგრამ მათ ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი. ისინი თავად მიიღებენ, ალბათ, გადაწყვეტილებას. ჩვენ შესაძლოა რაღაცაზე ვართ განაწყენებული, მაგრამ ისე არ გვინდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი გუნდი დავაზიანოთ.

– ზემოთ ახსენეთ, კოღუაშვილის განცხადებამ ჩვენი მომხრეების გაღიზიანება გამოიწვიაო. „ოცნების“ მხარდამჭერთა ნაწილს ნაციონალების მიმართ ისეთი მკვეთრი განცხადებები ფხანდა გულს, როგორსაც მეჭიაური ან თქვენ აკეთებდით. წამოსვლის შემთხვევაში ეს მხარდამჭერებს არ გააღიზიანებს?

– „ქართულ ოცნებას“ ისე აქვს საქმე, რომ თამაზ მეჭიაურს კი არ უნდა აკრიტიკებდნენ, უნდა ეხვეწებოდნენ, დარჩიო. რაღაცებში ჩემს მეგობარ თამაზს არც მე ვეთანხმები, მაგრამ რასაც სამშობლოზე, სარწმუნოებასა და იმ უკეთურ ნაციონალებზე ფიქრობს, ყველაფერში ვეთანხმები.

ჩვენ ნაცვლად ნაციონალების მიმართ ასე დადებითად განწყობილ კოღუაშვილს რომ მოიყვანენ, რისი იმედი აქვთ, არ ვიცი. ჩემი მხრიდან ამ გუნდს მხარს დავუჭერ, მაგრამ ძალიან გაუჭირდებათ.

– „ქართული ოცნებიდან“ წამოსვლის შემთხვევაშიც ამ გუნდის მხარდამჭერი იქნებით?

– აბა, ნაცებს, გირჩებს, ციყვებსა და შიშკებს ხომ არ ვუსურვებ გამარჯვებას? ღმერთმა დამიფაროს ამისგან. თამაზ მეჭიაურიც ასე ფიქრობს. შეხვედრაზე მას ივანიშვილიც ძალიან მოეფერა და კვირიკაშვილიც.

– თქვენ რა გითხრათ ივანიშვილმა?

– ძალიან ხისტად გამოხატავ პოზიციას ნაციონალების მიმართო. მათთან დაკავშირებით პოზიციას არ შევიცვლი, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ მიმართ და თუ მომავალ პარლამენტში კიდევ მოვხვდები, ამ გუნდთან ვითანამშრომლებ.

– მომავალ პარლამენტში თუ მოვხვდიო, ამბობთ და რაიმე პარტიის შექმნას ხომ არ აპირებთ მეჭიაურთან ერთად?

– რატომაც არა. ვიფიქრებთ ამაზე. დარწმუნებული ვარ, მომხრეებიც გვეყოლება.

– არის მოსაზრება, რომ შესაძლოა მეჭიაური მრეწველებში წავიდეს. თქვენ რას იზამთ ასეთ შემთხვევაში?

– არა, მრეწველებში არ წავალთ. მე ვფიქრობ, რომ დასავლური კურსის მკვეთრი უარყოფა და სტალინელობა ლამაზი არ არის. ასევე ფიქრობს თამაზიც. დასავლური კურსის მომხრე ვარ, მაგრამ რუსეთთან დალაპარაკებაც აუცილებელია. მე ბოლომდე ვერც რუსეთს ვენდობი და ვერც ნატოს. ერთადერთი, ვისაც ბოლომდე შეიძლება ვენდო, ეს ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანაა.

– ზემოთ ახსენეთ, რომ კიდევ რამდენიმე ადამიანი აპირებს პარტიიდან წამოსვლას და ისინიც თქვენთან ერთად იქნებიან?

– ამაზე საუბარი ნაადრევია. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არავის მიგვიღია. პირადად მე უკვე მოხაზული მაქვს კონტურები, თუ როგორ ვიმოქმედებ მომავალში.

– თქვენ მაჟორიტარ დეპუტატადაც აპირებდით კენჭისყრას. ამას ისევ აპირებთ?

– რა თქმა უნდა. ჩემს სოფელსა და ქალაქში მთელი ეს წლები მაჟორიტარის ფუნქციას ვასრულებდი. უამრავი ადამიანი მოდის ჩემთან და მეუბნებიან, რომ მაჟორიტარად ვიყარო კენჭი.

უამრავი საქმე მაქვს და დასვენებაც მინდა. ჩემი პროფესიითაც მსურს მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ვის დავუთმო ერთი მანდატი პარლამენტში? ჩემზე უკეთესს თუ აირჩევენ, შემოევლოს იმ ადამიანს ჩემი თავი. თუმცა, ვისაც ჩემ ნაცვლად მოიაზრებენ, ამის გამო ცოტა შეურაცხყოფილი ვარ.

– წარადგინა „ქართულმა ოცნებამ“ ქუთაისის მაჟორიტარად უკვე ვინმე?

– ოფიციალურად წარდგენა არ მომხდარა, მაგრამ, ხომ იცით, კულუარებში არაფერი იმალება. იმას, ვინც ჩემ ნაცვლად ქუთაისში მაჟორიტარად მოიაზრება, არც პარტიისთვის და არც ქვეყნისთვის ფრჩხილისოდენა საქმეც კი არ გაუკეთებია.

ამ ადამიანებს, ეტყობა, ჰგონიათ, რომ პარლამენტში ყოფნა მხარ-თეძოზე წამოწოლა და კარგი ცხოვრებაა, რაც ასე არ არის. დეპუტატები ძალიან შავ დღეში ვართ. საკანონმდებლო ორგანოს ძალიან გაუტყდა სახელი, რაც ჩვენი ბრალი იმდენად არ არის, რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლების.

ადამიანები ამა თუ იმ საკითხზე დეპუტატებთან მოდიან დახმარების სათხოვნელად. ჩვენ ამ პრობლემების მოსაგვარებლად მთავრობის წარმომადგენლებს ვურეკავთ. მათთან დარეკვა კი ასეთი იოლი არ არის. მე ჩაწერილი მაქვს საათები და წუთები, თუ რამდენი ხნის განმავლობაში ვცდილობდი მინისტრის ამა თუ იმ მოადგილესთან დარეკვას. ზოგიერთ მათგანთან დასარეკად ზოგჯერ რამდენიმე დღე დამჭირვებია. ასეთი რამე რომ ხდება, ზოგჯერ ვბრაზდები და მინდა, ხელი ჩავიქნიო.

ვიღაცები, ეტყობა, ჩემი აქტიურობით შეწუხებული იყვნენ და ჩემს მშობლიურ რაიონში მიმდინარე ღონისძიებებზე არ დამპატიჟეს. ამის გამო ჩვენს ერთ-ერთ ლიდერს სასტიკადაც კი გავუბრაზდი. ეს ძალიან გულსატკენია. ისიც კარგად ვიცი, რატომაც იქცევიან ასე ზოგიერთები.

ბევრი ადამიანისგან განსხვავებით, მე პარტიაში არსებულ ვითარებაზე ღიად ვსაუბრობდი და არც პრობლემები დამიმალავს. ასე იმიტომ ვიქცეოდი, რომ პარტიაზე გული შემტკიოდა. კრიტიკა არავის მოსწონს და მეც მომიძულეს ზოგიერთებმა. საბოლოო ჯამში, მე და მეჭიაური კულულებიანმა ბიჭებმა ჩამოგვწერეს.

ნაციონალებმა კორცხელში თავდამსხმელთა სია გამოაქვეყნეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე



ალოდ მიიღეს ფიზიკური დაზიანება, დაზარალებულია ამომრჩეველი და საქართველოს სახელმწიფო ინტერესები.

პრეზიდენტის აზრით, არჩევნებში მთავარი მოქმედი პირი ამომრჩეველია, რომელსაც სურს, მშვიდ ვითარებაში, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების მიხედვით გააკეთოს არჩევანი.

მთლიანობაში კი ეს არის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი პროცესი, როდესაც საქართველომ კიდევ ერთხელ უნდა დაუდასტუროს საკუთარ თავსაც და საერთაშორისო საზოგადოებასაც, რომ შეუძლია ცივილიზებული, ევროპული სტანდარტის არჩევნების ჩატარება, – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ.

მისი განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი პირადად მიადევნებს თვალს პროცესის მიმდინარეობას და გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლო ბერკეტს, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ძალადობას საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას.

◆ ◆ ◆

– ჩემი აზრით, ასეთი დაპირისპირება ყოველთვის ვიღაცის მხრიდან პროვოკაციის შედეგია.

ასე აფასებს უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე კორცხელში მომხდარ ინციდენტს.

– როგორი მხრიდანაც არ უნდა მიუდგე, გინდ იქიდან, გინდ აქედან, ამას გამართლება არა აქვს. ეს ხელისუფლებას არცერთ ვარიანტში არ აძლევს ხელს და ყოველთვის იქნება კრიტიკის საგანი. აქედან გამომდინარე, აპრიორი არ არის ჩვენს ინტერესებში.

ზუგდიდში ნაციონალების მხრიდან ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონმდებლობის მასობრივ დარღვევას, აგიტაცია არის აკრძალული, მაგრამ ისინი ამას ეწეოდნენ ძალიან აქტიურად დღეს და სწორედ ამას მოჰყვა ეს დაპირისპირება. მე ამას კი არ ვამართლებ, არა აქვს ამას გამართლება, მაგრამ მოხდება ამის მოკვლევა, თუ რა მოხდა რეალურად, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.

◆ ◆ ◆

– ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების გამოწვევას ცდილობდა, – განაცხადა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, წყალტუბოს ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მობილიზებულები იყვნენ ერთგვარი ზონდერჯგუფის წარმომადგენლებიც, რომლებიც ერთ-ერთი მეზობელი რაიონიდან იყვნენ ჩამოყვანილი. ირაკლი კობახიძემ ასევე აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, თავისუფალი ზონის წევრებთან ერთად, გარდაბანში დადგმული სპექტაკლის გამეორებას ცდილობდნენ.

– გარდაბანში ისინი ძალიან დიდი სხვაობით აგებდნენ არჩევნებს და იმისათვის, რომ შეეფუთათ ეს ყველაფერი, დადგეს სპექტაკლი თავისუფალი ზონის მონაწილეობით. ველოდებით, რომ ასეთივე სპექტაკლები დადგან იმისთვის, რათა ფონი გააფუჭონ, მაგრამ ეს საერთო სურათს მაინც ვერ შეცვლის. საერთო სურათი იქნება ის, რომ ნაციონალური მოძრაობა მიიღებს საკადრის პასუხს მოსახლეობისგან და ჩვენ მივიღებთ ჩვენს ღირსეულ შედეგს ამ არჩევნებში, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

◆ ◆ ◆

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კორცხელში მომხდარ ჩხუბის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

უწყების ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა პოლიცია და ჩხუბის ფაქტზე მყისიერად მოხდა რეაგირება. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას გულისხმობს.

შსს-ს ცნობით, დამნაშავეთა დადგენისა და დაკავების მიზნით საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

არჩილ თალაკვაძე: „სანამ მკვლელი არ დაისჯება, ჩვენ არ გავჩერდებით“

– სანამ მკვლელი არ დაისჯება, ჩვენ არ გავჩერდებით, გამოვიყენებთ ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ მექანიზმს, რომ ეს ფაქტი არ დარჩეს დაუსჯელი, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ „იმედის“ პირდაპირ ეთერში ხურჩაში მომხდარი მკვლელობის შესახებ საუბრისას.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, მალე პროკურატურა სასამართლოს მიმართავს ძებნის თაობაზე და საერთაშორისო მასშტაბითაც დაიწყება ამ ადამიანის ძებნა.

არჩილ თალაკვაძე:

– მინდა, სამძიმარი ვუთხრა გიგა ოთხოზორიას ოჯახს. ეს არის ნამდვილად ტრაგიკული შემთხვევა. კიდევ ერთი უდანაშაულო მსხვერპლი იმ უსამართლობის, რაც ხდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

სანამ მკვლელი არ დაისჯება, ჩვენ არ გავჩერდებით, გამოვიყენებთ ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ მექანიზმს, რომ ეს ფაქტი არ დარჩეს დაუსჯელი. იცით, რომ შსს-მ გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დახმარებით უმოკლეს დროში დაადგინა სავარაუდო მკვლელი. რაშიდ კანჯიოღლი პასუხისგებაში მისცა პროკურატურამ 108-ე და 236-ე მუხლებით. ასევე დამატებით უნდა გითხრათ, რომ სულ მალე პროკურატურა მიმართავს სასამართლოს ძებნის თაობაზე და საერთაშორისო მასშტაბითაც დაიწყება ამ ადამიანის ძებნა. ეს ადამიანი უკვე მიეცა პასუხისგებაში. ბრალი მას დაუსწრებლად წარედგინა და, დარწმუნებული ვარ დღეს ამ პოზიციიდან, რომ მასთან მიმართებით მართლმსაჯულება აუცილებლად აღსრულდება.

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან, ასევე ვთანამშრომლობთ ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან და გვაქვს შიდა ეროვნული მექანიზმები, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე მომხდარი დანაშაულის აღკვეთასა და მის დასჯას ითვალისწინებს, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

ამასთან, თალაკვაძემ 2007-2012 წლებში მომხდარი მსგავსი შემთხვევებიც გაიხსენა.

– ეს არ არის პირველი ფაქტი 2007 წლიდან 2012 წლამდე, სამწუხაროდ, შემიძლია არაერთი ანალოგიური ფაქტი მოვიყვანო, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული ადამიანები თავს ესხმოდნენ ჩვენს მოქალაქეებს, თუნდაც 2007 წლის იანვრის შემთხვევა, როდესაც პოლიციის საგუშაგოზე მოხდა თავდასხმა და იყო მსხვერპლი, როდესაც სკოლის მოსწავლე დაგვიჭრეს საჩხერეში, ასევე, როდესაც რუსმა ოკუპანტებმა ყუმბარმტყორცნიც კი ისროლეს ჩვენი მიმართულებით. 2012 წლიდან დღემდე ეს არის პირველი შემთხვევა, – აღნიშნა თალაკვაძემ.

◆ ◆ ◆

შს სამინისტროს დანაყოფების მიერ პატრულირება არათუ შესუსტებული, პირიქით – გაძლიერებულია, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ ხურჩაში მომხდარ მკვლელობაზე საუბრისას „იმედის“ პირდაპირ ეთერში.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, რომ არა ამ დანაყოფების პატრულირება ე.წ. საზღვრებთან, შესაძლოა, მეტი ინციდენტი მომხდარიყო.

– შს სამინისტროს დანაყოფების მიერ პატრულირება არათუ შესუსტებული, პირიქით – გაძლიერებულია. ოკუპირებულ ტერიტორიასა და გარკვეულ ზონებში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასაც კი არ უშვებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებები თავის დროზე იყო მიღწეული. სამწუხაროდ, არც ქართულ მხარეს და არც საერთაშორისო ორგანიზაციებს არ აქვთ საშუალება, გააკონტროლონ სიტუაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს ინციდენტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ იქ სიტუაცია უკონტროლოა.

ასეულობით პოლიციელი პატრულირებს ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან და რომ არა ჩვენი დანაყოფების პატრულირება ამ ხაზებთან, შესაძლოა, მეტი ინციდენტი მომხდარიყო, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

თალაკვაძის განცხადებით, თუ საგუშაგოების დამატება გახდება საჭირო, ძალოვანი უწყება მზად არის, წარმომადგენლობა კიდევ უფრო გაზარდოს.

არჩილ თალაკვაძე:

– ჩვენს გეგმებს რაც შეეხება, თუ ამაზე მოლაპარაკება განცხადებებით ვერ მოხერხდება, თუ საჭიროა საგუშაგოების დამატება და თუ ჩვენი მოკავშირეები ფიქრობენ, რომ ეს შესაძლებელი და აუცილებელია, რა თქმა უნდა, ჩვენ მზად ვართ, გავზარდოთ კიდევ ჩვენი წარმომადგენლობა.

იმ ძალებით, რომლებსაც ჩვენ ვიყენებდით, მოვახერხეთ ასეთი ტრაგიკული შემთხვევების პრევენცია. რადგან დღეს მაინც მოხდა ასეთი შემთხვევა, ეს კიდევ ერთხელ ხსნის დისკუსიისთვის სივრცეს, რომ ჩვენ ჩვენს პარტნიორებთან მოლაპარაკებით მივიღოთ გონივრული გადაწყვეტილება, – განაცხადა თალაკვაძემ.

ამასთან, შს მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, სუს-ის ძალისხმევით აფხაზეთის მიმართულებით ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების პირველი შეხვედრა უახლოეს მომავალში გაიმართება.

ლევან იზორია: „მინდა პრინციპულად განვაცხადო, რომ ხელისუფლება ხურჩაში მომხდარ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს“

– მინდა პრინციპულად განვაცხადო, რომ ხელისუფლება ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს, – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან იზორიამ ხურჩაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით.

იზორია ზუგდიდში იმყოფებოდა, სადაც დაღუპულ გიგა ოთხოზორიას ოჯახს მიუსამძიმრა.

ლევან იზორია:

– პირველ რიგში, მინდა სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულის ოჯახს. ეს ძალიან მძიმე შემთხვევაა თითოეული ჩვენგანისთვის და მინდა პრინციპულად განვაცხადო, რომ ხელისუფლება ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს.

სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით ოპონენტების განცხადებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ისინი ტრაგიკული ფაქტის საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებას ცდილობენ.

– ჩვენი ზოგიერთი ოპონენტი, სამწუხაროდ, ამ ფაქტს იყენებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის, როცა ამბობს, რომ მსგავს შემთხვევებს თითქოსდა ადგილი არ ჰქონია. მართლაც, 2012 წლიდან ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, თუმცა 2008 წლიდან, სამწუხაროდ, ათეულობით გახმაურებულ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომელიც ლეტალური შედეგითაც დასრულდა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ განვახორციელოთ პატრულირება და ვახორციელებთ ამ პროცესს დღესაც. პატრულირება უფრო გაძლიერებულად იქნება მომავალში, – განაცხადა სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილემ.

იზორიას თქმით, ქართული მხარე როგორც ჟენევის, ისე IPRM -ის ფორმატში მკვლელობაში დამნაშავის უმკაცრესად დასჯის საკითხს დააყენებს.

– თქვენ იცით, რომ ახლო მომავალში, IPRM -ი ჩატარდება გალში, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ. გუშინ მე მქონდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან შეხვედრა, სადაც ვთქვი, რომ პირველი საკითხი და მოთხოვნა, რომელიც ჩვენი მხრიდან იქნება გაჟღერებული, იქნება დაკავშირებული სწორედ იმასთან, რომ დამნაშავე, რომელიც უკვე დადგენილია, იქნეს უმკაცრესად დასჯილი. ასე რომ, ჩვენ ყველანაირ ფორმატს, იქნება ეს ჟენევის ფორმატი თუ IPRM, გამოვიყენებთ იმისთვის, რომ ეს მოთხოვნა მანამ, სანამ ის არ შესრულდება, მუდმივად დავაყენოთ, – აღნიშნა იზორიამ.

სუს-ის ხელმძღვანელის კომენტარს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

19 მაისს, დაახლოებით 14:30 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, ოთხმა შეიარაღებულმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა გალის რაიონის სოფელ ბარღების მკვიდრი გიგა ოთხოზორია. ინციდენტის შედეგად დაზარალებული მუცლის არეში მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა გადაიყვანა ზუგდიდის ჰოსპიტალში, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალა.

რამაზ საყვარელიძე: „ქართულ ოცნებაში“ ისევ ოცნებობენ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე აფასებს.

– ბატონო რამაზ, რა ხდება „ქართულ ოცნებაში“?

– რა უნდა ხდებოდეს, ოცნებობენ!

– პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც კოღუაშვილი არ დასწრებია. ზოგადად რა უნდა დავით კოღუაშვილს?

– ამ კოღუაშვილის განცხადებებზე ერთი რამ გამახსენდა: გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმაც რომ თქვა, მერაბიშვილი კარგი მენეჯერიაო და ასე შემდეგ. მე მგონი, რაღაც ანალოგიური იდეაა, ოღონდ არასწორი ფორმულირებით გააკეთა კოღუაშვილმაც, იმიტომ, რომ კოღუაშვილი ახალი მემარჯვენეების გუნდის საკმაოდ ერთგული წევრი იყო. მემარჯვენეები კი ის ხალხი იყო, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა სააკაშვილის გუნდს.

– თუმცა საზოგადოება მემარჯვენეებს მაინც სააკაშვილის სატელიტად მიიჩნევდა. ასე არ რის?

– სააკაშვილისას? არა, თუ იყო სატელიტობაზე ლაპარაკი, ეს იყო შევარდნაძის სატელიტობაზე, 2003 წლის მოვლენებს თუ გავიხსენებთ. სააკაშვილთან ბევრი წყალგამყოფი ჰქონდათ მემარჯვენეებს და ბევრ საკითხში იყვნენ დაპირისპირებულნი. სწორედ ამ დაპირისპირების მემკვიდრეა კოღუაშვილიც. ვფიქრობ, სწორედ ისეთივე მოუხერხებლად ფორმულირებული ფრაზის შედეგია ეგ გახმაურებული ამბავი, ვიდრე კონცეფციის გამოხატულება. ის ბრალდებები, რომლებიც კოღუაშვილის მისამართით წამოვიდა, გადაჭარბებულად მეჩვენება.

– „ოცნებაში“ არიან უფრო კრიტიკულად განწყობილებიც, რომლებიც მკაცრი ტონით მოუწოდებენ ხელმძღვანელობას, როგორც მოიყვანეთ კოღუაშვილი, ისევე წაიყვანეთო. პოლიტსაბჭოს ივანიშვილიც ესწრებოდა. მომრიგებლის როლი ითამაშა მან?

– ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ შეხვედრის ნიუანსები ჩემთვის უცნობია. მე არ ველოდები, რომ ხალხის დაძახილზე, არიქა, მოაცილეთ კოღუაშვილიო, პარტიამ უნდა გაიყვანოს კოღუაშვილი თამაშიდან.

– რატომ არ უნდა გაიყვანოს?

– იმიტომ, რომ ეს პარტიის სისუსტის მაჩვენებელი იქნება. შეძახილზე პარტია არ უნდა მოქმედებდეს. შეიძლება რაღაცა დროის მერე კოღუაშვილის ფიგურის ჩრდილში გაყვანა შეუმჩნევლად მოხდეს, ეს კიდევ სხვა პოლიტიკაა, მაგრამ მწვავე მომენტში პარტიამ უგანოს ადამიანს, რომელიც თვითონ მიიყვანა, ეს პარტიას ახასიათებს უარყოფითად.

– „ქართული ოცნება“ მეჭიაურმა დატოვა. რას იტყვით?

– მისი წასვლაც უფრო ფართო კონტექსტში განვიხილოთ, რაც უფრო ლოგიკური იქნება. ეს იგივე კონტექსტია, რაც თოფაძისა და მისი გუნდის მიმართ დამოკიდებულება. თოფაძის განცხადებები წააგავს მეჭიაურის განცხადებებს და იკვეთება ჯგუფი, რომელსაც არ აქვს დასავლეთის მიმართ ისეთი ცალსახა სიმპათია, როგორიც აქვთ ამ ჯგუფის სხვა წევრებს. მე არ ვიტყოდი, რომ ეს ქართული პოლიტიკისთვის ცუდია. პირიქით, შეიძლება ამ ჯგუფის ცალკე გამოყოფამ კარგი საქმეც გააკეთოს.

– რა კუთხით?

– იმ კუთხით, რომ პოლიტიკური დებატების თემა გახდეს, იმიტომ, რომ უთქმელობით ყველა იფხანს გულს იმით, რომ ამერიკა ცდება, ევროპა ცდება და თითქოს ამით, ავად თუ კარგად, მინიშნება კეთდება იმაზე, რომ ევროპასა და ამერიკაზე ორიენტაცია საქართველოს არ უნდა. ეს უთქმელობა ბევრად უფრო ცუდ საქმეს შვრება.

– ვიდრე ერთი მეჭიაური?

– დიახ და ამიტომ ჯობია, მსჯელობის საგანი იყოს და მსჯელობა მივიდეს ლოგიკურ დასასრულამდე, რომელსაც მიჰყვება მთელი მოსახლეობა და გაირკვევა, ჩვენი მოსახლეობისთვის რომელი უფრო მისაღებია – ევროპა და ამერიკა, რომელიც, კი ბატონო, შეცდომებსაც უშვებს, თუ უშეცდომო, აგრესიული და არაპროგნოზირებადი რუსეთი!

– რამდენად აქვს ასეთ ჯგუფს პარლამენტში მოხვედრის შანსი? შეიქმნება ახალი ალიანსი, მათი, ვინც მეჭიაურის კურსს იზიარებს?

– არ გამოვრიცხავ. ამ თემას თავისი სადებატო და სადისკუსიო აუცილებლობა ახლავს. თუკი გამოეყოფა ეს ჯგუფი და, ალბათ, გამოეყოფა. კარგია, თუ პარლამენტი გახდება ამ დებატების ადგილი, მოსახლეობაც ჩაერთვება ამ დებატებში და ჩამოყალიბდება საბოლოოდ თავის პოზიციაში.

დღეს რუსეთი მუშაობს ამ პოზიციით: რუსეთზე ნუ გექნებათ ორიენტაცია, მაგრამ დაუკვირდით იმასაც, დასავლეთი კარგია?! დასავლეთში დაეჭვების სტრატეგია თვითონ რუსეთს შემოაქვს. მისი პიარის სამიზნეა სწორედ ეს განწყობილება – დასავლეთში დაეჭვება.

– იწყება წინასაარჩევნო პერიოდი. თუ ელოდებით „ოცნებიდან“ ხმაურიან გასვლებს, სკანდალურ განცხადებებს?

– პოლიტიკური დატვირთვის მქონე პროცესი უფრო იყო ეს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ხალხის ყოფნა „ოცნებაში“. ისინი გამოეყვნენ ცალკე და ამ მხრივ სიახლეები აღარ იქნება. თვითონ „ოცნებაში“ ახალი სახეების მოსვლა იქნება პრობლემა, ისეთი, როგორიც კოღუაშვილის მოსვლას მოჰყვა. ეს არის ბრძოლა ახლებსა და ძველებს შორის, თუმცა ეს პოლიტიკური ბრძოლა არ არის. ეს უფრო ადგილისთვის ბრძოლაა. სხვა პროცესი არ არის დიდად მოსალოდნელი.

– ოპოზიციაზე რას იტყვით? გააქტიურდა ალასანიას გუნდი. მოვისმინეთ შეფასებებიც, რომ ალასანია მის ყოფილ თანამშრომლებს პოლიტიკურ ინსტრუმენტებად იყენებს. იზიარებთ ამ შეფასებებს?

– ალასანიამ, ისევე, როგორც ბევრმა, იჩქარა, როცა პოლიტიკურ პროცესში მოუნდა საპროტესტო აქციების შემოყვანა. გაიხსენეთ, პატრიოტთა ალიანსს ჰქონდა ასეთი ფრაგმენტი, კანცელარიასთან რომ შიმშილობდნენ და ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ასეთი ფრაგმენტი.

– რატომ იჩქარეს?

– აღარ არის საქართველოში საპროტესტო აქციებზე გამოძახილი. იმდენი საპროტესტო აქცია ნახა ამ საქართველომ, რომ ძალიან ძნელია დღეს ქართველების საპროტესტო აქციაში ჩართვა. მეორეც, ნაციონალური მოძრაობის მიმართ საპროტესტო აქციები დაიწყო 2004 წლიდან, თითქმის ერთ წელიწადში და მერე შეუწყვეტლად მიმდინარეობდა აქციების სერია, იმიტომ, რომ ნაციონალებთან გამოუვალობის პროტესტი იყო დაკავშირებული. ხალხი გამოსავალს ვერაფერში პოულობდა. დღეს ასეთი სიტუაცია არ არის.

ლია მუხაშავრია: „პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში ცვლილებებს ვეტო უნდა დაადოს“

ნათია ხურცილავა

სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სამ კანდიდატზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები, საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მათი ოპონენტები კი აცხადებენ, რომ ეს ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. სად არის რეალობა და რამდენად აუცილებელია მსგავსი ცვლილებების განხორციელება?

– სასიცოცხლოდ აუცილებელი, ალბათ, „ოცნებისთვის“ არის. რადგანაც ისინი მოელიან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს სხვადასხვა საქმის განხილვა, რომელიც უკვე შეტანილია საკონსტიტუციო სასამართლოში. ამ საქმეებს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს, ისე, როგორც მოსალოდნელია, რომ განიხილოს. ერთ-ერთი ასეთი საქმე „რუსთავი 2“-ის საქმეა. საკონსტიტუციო სასამართლო მეტ-ნაკლებად, საერთო სასამართლოებთან შედარებით, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და ეს, როგორც ჩანს, ძალიან აღიზიანებდა ხელისუფლებას. ამიტომ გადაწყვიტეს, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში შეეტანათ ცვლილებები, რომელიც ქმნის სიტუაციას, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები პალატის შიგნით გადაწყვეტილების მიღებას ვერ შეძლებენ და უმცირესობას ექნება შესაძლებლობა, ისეთი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რომ პრაქტიკულად სასამართლომ გადაწყვეტილება ვერ გამოიტანოს. მსგავსი ვითარება კი, რასაკვირველია, ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია.

– რატომ?

– რადგანაც ხელისუფლება მოელის, რომ ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებული კანონები, რომლებიც გასაჩივრებულია საკონსტიტუციო სასამართლოში და წარმოებაშია, მათთვის მიუღებელია და ეს შექმნის რეალობას, როდესაც ისინი, მაგალითად, ვერ განახორციელებენ კონტროლს მედიაზე ან სხვა ისეთი მნიშვნელობის საქმეებზე დადგება საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტი, რომელიც ხელისუფლებისთვის არის მიუღებელი.

– ფიქრობთ, მხოლოდ ამით არის ინსპირირებული ეს ცვლილებები?

– ეს არის მცდელობა, რომ ხელისუფლებამ საკონსტიტუციო სასამართლო გააკონტროლოს, რომელზე კონტროლიც მას, რა თქმა უნდა, დაკარგული აქვს.

– ქალბატონო ლია, არადა, ამ კანონპროექტის ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს ცვლილებები კეთდება საკონსტიტუციო სასამართლოს მეტი დამოუკიდებლობისთვის. ასე არ არის?

– ნამდვილად არ არის ასე და ავხსნი: არსად, კოლეგიალურ ორგანოში, სადაც გადაწყვეტილება მიიღება, უმცირესობას არ აქვს ის შესაძლებლობა, რომელსაც ახლა აძლევს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილება, ეს კი შექმნის რეალობას, როდესაც მოსამართლეთა უმრავლესობა მიიღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მას უმცირესობა არ დაეთანხმება და ამით მოხდება გადაწყვეტილების დაბლოკვა.

– არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტმა ამ ცვლილებებს ვეტო დაადოს, თუმცა ჯერ, როგორც ვიცი, პრეზიდენტი ვენეციის კომისიის დასკვნას ელოდება. პირდაპირ გკითხავთ, ეს ის საკითხია, რომელზეც პრეზიდენტმა თავისი უფლებამოსილება უნდა გამოიყენოს და ვეტო დაადოს?

– რა თქმა უნდა, ვეტო უნდა დაადოს ამ ცვლილებებს. პარლამენტში უკვე მზადებაა, რომ პრეზიდენტის ვეტო დაძლიონ, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, ამ ცვლილებების დაძლევა პარლამენტს გაუჭირდება, რადგან, მაგალითად, „რესპუბლიკელების“ განცხადებით, ისინი არ მიიღებენ ვეტოს დაძლევაში მონაწილეობას. ეს კი იქნება შესაძლებლობა, რომ ეს კანონპროექტი ჩავარდება და სწორიც იქნება.

– თუმცა ამბობენ, რომ შესაძლებელია გარიგება მოხდეს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სამ კანდიდატს პარლამენტმა მხარი დაუჭიროს და პრეზიდენტმა ვეტო არც გამოიყენოს.

– ზუსტად ვიცი, რომ ამ გარიგებაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები არ წავლენ. რა თქმა უნდა, ამ გარიგებაზე არ წავა თავად პრეზიდენტი. ამდენად, ვეტო ამოქმედდება და ეს კანონპროექტი ვერ გავა.

– ქალბატონო ლია, ეს კითხვა შეიძლება პირდაპირ კავშირში არ იყოს ამ საკითხთან, მაგრამ ზოგადად სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები რამდენად ჯანსაღია? ფაქტია, მოქალაქეებს სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენები აღელვებთ.

– დიახ, სამართლიანად აღელვებთ, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ გვეყოლება სასამართლოში. პერსონალურ შემადგენლობას, კონკრეტულად თუ ვინ არის მოსამართლე, ხანდახან აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი, რადგანაც მოსამართლის პიროვნულ, პროფესიულ თვისებებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. კონკრეტულად ვინ გახდება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ვინ დაინიშნება ამ თანამდებობაზე, ეს, შეიძლება ითქვას, დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობის არის, როდესაც სასამართლოს მიმართ ნდობა ასეთი დაბალია. საზოგადოება არ ენდობა სასამართლოს, რადგანაც ვხედავთ, რომ მოსამართლეები ძალიან მარტივად ექცევიან პოლიტიკური გავლენის ქვეშ, რადგანაც ისინი შებოჭილნი არიან იმ უკანონო გადაწყვეტილებებით, რომლებიც მათ სააკაშვილის რეჟიმის დროს მიიღეს. მათ არ შეუძლიათ, პიროვნულად გათავისუფლდნენ ამ დამოკიდებულებისგან. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება უზენაეს სასამართლოში, რომელიც

უმაღლესი ინსტანციაა. ამდენად, სრულიად მიუღებელია მცდელობები, რომ მოსამართლის დანიშვნა პოლიტიკური ვაჭრობის საგანი გახდეს, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, რომელიც დღეს გვაქვს სასამართლო სისტემაში. დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, სასამართლოში ყოველი კეთილსინდისიერი, კვალიფიციური, დამოუკიდებელი მოსამართლე ვიხილოთ.

– ის სამი კანდიდატი, რომლებიც პრეზიდენტმა წარუდგინა პარლამენტს, რომელთა შესახებაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, თქვენი აზრით, შენაძენი იქნება უზენაესი სასამართლოსთვის თუ მათი დამტკიცებით არც არაფერი შეიცვლება?

– სამივე კანდიდატი ჩემთვის კარგად არის ცნობილი. მე ვფიქრობ, სამივე საუკეთესოა ამ თანამდებობაზე. მათზე უკეთესის შერჩევა დღეს, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. უზენაეს სასამართლოს ეს სამი ადამიანი ძალიან სჭირდება. ეს ქალბატონები უაღრესად წესიერები, პროფესიონალები და კვალიფიციურები არიან. ამიტომ მათი ყოფნა უზენაეს სასამართლოში მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს სასამართლოს რეპუტაციას. თუ ახლა არა, ეს სამი კანდიდატი, დარწმუნებული ვარ, მომავალში აუცილებლად დაინიშნება, რადგან უკეთესი კანდიდატების წარდგენა არც არავის შეუძლია.

სააკაშვილი უკრაინაში პოლიტიკურ პერსპექტივას კარგავს?

მარიამ მჭედლიშვილი

სარწმუნო წყაროს ცნობით, ექსპრეზიდენტი და ნაცმოძრაობის ფაქტობრივი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში მომუშავე თავის ქართულ გუნდთან ერთად აგრძელებს მუშაობას საქართველოს მმართველობაში დაბრუნების რევოლუციურ გეგმაზე.

უკრაინაში სააკაშვილისა და მისი გუნდის წარუმატებლობაზე დიდი ხანია საუბრობენ. ამჯერად პოლიტოლოგები ყურადღებას ამახვილებენ ახალ ფაქტორებზე, რომლებმაც შეიძლება ბოლო მოუღოს ოდესის გუბერნატორის პოლიტიკურ მომავალს და ის სრულ იზოლაციაში მოაქციოს.

ამისთვის ნიადაგი შეიქმნა პრემიერის ცვლილებით. სააკაშვილი მკვეთრად იყო დაპირისპირებული ყოფილ პრემიერ არსენი იაცენიუკთან და მებრძოლი პოლიტიკოსის იმიჯს სწორედ ამით ინარჩუნებდა. ახალ პრემიერ ვლადიმირ გროისმანთან სააკაშვილი კონფლიქტში არ იმყოფება. ეს კი შეიძლება არაკომფორტული აღმოჩნდეს ხმაურიანი სააკაშვილისათვის.

პოლიტოლოგი ალექსი იაკუბინი მიიჩნევს, რომ არსენი იაცენიუკის წასვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა დაკარგა თავისი საყვარელი სპარინგ-პარტნიორი. მას სჭირდება საკუთარი ოპოზიციონერობის ჩვენება, ამიტომ შესაძლოა, წარმოიშვას კონფლიქტი პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსთან.

– ოდესის ოლქის გუბერნატორისათვის ძალიან რთული დრო დგება, იმიტომ, რომ იგი რამდენიმე ცეცხლს შუა აღმოჩნდა, – აღნიშნავს პოლიტოლოგი.

მისი აზრით, იმისთვის, რომ როგორღაც თავი დააღწიოს ოლქის პრობლემებს, მათ შორის საბაჟოსა და ინვესტიციების საკითხებში, სააკაშვილს ესაჭიროება ხელთათმანის სროლა პრეზიდენტისა და მოქმედი პრემიერის ხალხისთვის. თუ იგი ამას გააგრძელებს, დაკარგავს პრეზიდენტის მხარდაჭერას და მოექცევა პოლიტიკურ იზოლაციაში უკრაინაში.

– სააკაშვილმა არჩევანი უნდა გააკეთოს. თუ იგი თავის თავს ხედავს რომელიმე პოლიტიკურ პროექტში, მაშინ ჩვენ დავინახავთ არსებული კონფლიქტის გადატანას არასაჯარო სიბრტყეში, საჯარო სიბრტყეში კი ვნახავთ საბაჟოს მიმართ კრიტიკის შემცირებას, – ამბობს იაკუბინი.

ექსპერტის პროგნოზით, თუ სააკაშვილი განაგრძობს თავდასხმებს საბაჟოზე, ასევე პრეზიდენტის ხალხზე, უახლოეს ხანში მისი პოლიტიკური პერსპექტივები დასრულდება და იგი მარტო დარჩება.

ხელისუფლებაზე იერიშს აგრძელებს სააკაშვილის მრჩეველი და ყოფილი მოადგილე ალექსანდრ ბოროვიკიც. ამ დღეებში მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ვერ ხედავს ვერანაირ სხვაობას მაიდანის შემდეგ უკრაინაში მოსულ ხელისუფლებასა და კუჩმას მმართველობას შორის.

სააკაშვილის მრჩეველის თქმით, უკრაინაში შემოსული უცხოური ტრანშები ქრება, ხელისუფლებას კი რეფორმების გატარება არ აინტერესებს.

– ჩვენ ვცხოვრობთ ბანდიტურ-ოლიგარქიულ რეჟიმში, რომელიც მტრობს უცხოურ კაპიტალსა და საერთაშორისო თანამშრომლობას, – ასკვნის სააკაშვილის გუნდელი.

სააკაშვილს პრობლემებს უქმნის არა მარტო მისი კრიტიკა, არამედ, ქებაც. მაგალითად, მან შეაქო პრემიერი გროისმანი ზოგიერთი მოხელის გათავისუფლების გამო. ერთ-ერთი მათგანი აპირებს, სააკაშვილს სასამართლოში უჩივლოს.

უკრაინის ეროვნული პოლიციის ნარკოდანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის ექსხელმძღვანელი ილია კივა სააკაშვილს მისი გამონათქვამების გამო უჩივის. სააკაშვილმა კივას კრიმინალური ავტორიტეტი უწოდა და განაცხადა, რომ იგი ხელს უწყობს ნარკოშემცველი პრეპარატების წარმოებას.

კივა მიიჩნევს, რომ დაუსაბუთებელი იარლიყების მიწებება „ქართული კლოუნადის“ მხრიდან დაუსჯელი აღარ უნდა დარჩეს.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

ირაკლი ალასანია: „მათ შესაწყალებელი არაფერი სჭირთ“

თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ ე.წ. კაბელების საქმეზე მსჯავრდებულ თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელთაც სასამართლომ 7-7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, „შესაწყალებელი არაფერი სჭირთ“.

– ამ ადამიანების შეწყალება არ არის სწორი სიტყვა, რომ ჩვენ გამოვიყენოთ. მათ შესაწყალებელი არაფერი სჭირთ. ესენი არიან უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც უნდა გამოვიდნენ უსამართლო ტყვეობიდან, – განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი ალასანიამ.

◆ ◆ ◆

21 მაისს კაბელების საქმის განაჩენი თავისუფალმა დემოკრატებმა და მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებმა მთავარ პროკურატურასთან გააპროტესტეს.

როგორც აქციის ორგანიზატორები, პარტია თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლები აცხადებენ, საგამოძიებო უწყებასთან მისული იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს 5 ყოფილი მაღალჩინოსნისთვის 7-7-წლიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე უსამართლოა.

როგორც თავისუფალი დემოკრატების წევრმა ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, აქციაზე დასასწრებად და დაკავებულებისა და მათი ოჯახებისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად პროკურატურასთან მივიდნენ არა მხოლოდ თბილისელები, არამედ რეგიონებიდანაც ჩამოვიდა ხალხი.

თავის მხრივ, როგორც პარტიის კიდევ ერთმა წევრმა ალექსი პეტრიაშვილმა აღნიშნა, დაკავებულები არიან სამშობლოს პატრიოტი ადამიანები.

მედიანიუსი

კვირიკაშვილი: „საქართველო საქმიანი წრეებისთვის უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება“

პროექტი, რომელსაც მხოლოდ დადებითი მხარე აქვს

– მერიოტის უმაღლესი კატეგორიის ბრენდის შემოსვლა საქართველოში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანა საქმიანი წრეებისთვის სულ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდსა და სასტუმროთა საერთაშორისო ქსელ Marriott-ს შორის საქართველოს თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით მშენებარე სამი სასტუმროს, Marriott-ის უმაღლესი კლასის Autograph Collection ბრენდის ქვეშ გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

გიორგი კვირიკაშვილი:

– მერიოტი დაინტერესდა თანაინვესტირების ფონდის მიერ დაწყებული ნახევარმილიარდიანი პროექტით – მშენებარე სამი სასტუმროთი, რაც უდავოდ მიმართულია ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ.

ის, რომ საქართველოში შემოდის მერიოტის უმაღლესი კატეგორიის ბრენდი, რომელიც დღეისათვის მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სამეულში შედის, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანა არა მარტო სტაბილურად ვითარდება, არამედ სულ უფრო აქტუალური და მოთხოვნადი ხდება საქმიანი წრეებისათვის.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამ კატეგორიის ბრენდი შემოდის ერთდროულად სამ სასტუმროში: პროექტ „პანორამას“ ფარგლებში თბილისში იგეგმება ორი სასტუმროს მშენებლობა – „სოლოლაკის მაღლობი“ და „თავისუფლების მოედანი“, ხოლო დასრულების ეტაპზეა „შეკვეთილის სასტუმრო“, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება.

– მნიშვნელოვნად მიმაჩნია ასევე, რომ მერიოტმა გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა სასტუმროების უნიკალური შერწყმა ლანდშაფტთან და გარემოსთან, აქცენტი გაკეთდა ასევე პროექტის ორიგინალობაზე, ეკოლოგიურობასა და ინდივიდუალიზმზე, – განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა.

მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ თანაინვესტირების ფონდსა და მერიოტს შორის მოხდა ინტერესთა სრული თანხვედრა და საქართველოს შეეძატება უმაღლესი კლასის სასტუმროები, რაც ქვეყნის იმიჯსა და პრესტიჟზე უდავოდ დადებითად იმოქმედებს.

პრემიერმა მხარეებს წარმატება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ ეს თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უფრო მეტი საინტერესო ბრენდისა და ინვესტიციის საქართველოში შემოსვლა.

◆ ◆ ◆

თბილისის მერ დავით ნარმანიას განმარტებით, ეს არის პროექტი, რომელსაც მხოლოდ დადებითი მხარე აქვს.

– ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებია, რომლებიც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია განვითარებასთან, მეორე მხრივ, ადამიანების დამატებით დასაქმებასთან ანუ, როგორც ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პროექტებია, რომ არაფერი ვთქვათ ინვესტიციების მოცულობასა და ბრენდი ავტოგრაფის შემოსვლაზე. ასე რომ, ეს არის პროექტები, რომლებსაც მხოლოდ დადებითი მხარე აქვს, – აღნიშნა ნარმანიამ.

მერიამ ტენდერის გარეშე 257 ხელშეკრულება გააფორმა

რამდენი მილიონით იზარალა თბილისის ბიუჯეტმა

შორენა მარსაგიშვილი

ტენდერების გარეშე ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოში ჩვეულ მოვლენად იქცა. ამ მხრივ დედაქალაქის მერია ნამდვილად გამორჩეულია. მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წელს ტენდერის გარეშე მერიამ სულ რაღაც 16 მილიონის ღირებულების ხელშეკრულებები გააფორმა.

– 2015 წლის 31 დეკემბრიდან 2016 წლის 22 მაისამდე დედაქალაქის მერიამ 180 ხელშეკრულება გააფორმა ტენდერის გარეშე, რომლის საერთო ღირებულებამ 12.282.002 ლარი შეადგინა. ჩვენი ყურადღება ასევე მიიქცია თბილისის განვითარების ფონდმა, საიდანაც იმავე დროის განმავლობაში ტენდერის გარეშე გაფორმებულია 77 ხელშეკრულება, ჯამში, 16.906.322 ლარის.

გამოდის, რომ მხოლოდ მერიის ადმინისტრაციისა და თბილისის განვითარების ფონდმა დედაქალაქის ბიუჯეტიდან ტენდერის გარეშე 5 თვის განმავლობაში 257 ხელშეკრულება გააფორმა ჯამური ღირებულებით 29.188.324 ლარი, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი.

მისი თქმით, ტენდერების გარეშე ხელშეკრულებების გაფორმებით დავით ნარმანიამ თავი შარშანაც გამოიჩინა.

– ტენდერის გარეშე გაფორმებული ხელშეკრულებებით დავით ნარმანიას მთავრობა 2015 წელსაც გამოირჩეოდა და, ჯამში, 100.000.000 ლარს გადააჭარბა წინა წელს საბიუჯეტო სახსრების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხარჯვამ. ფაქტია, 2016 წელიც არ არის გამონაკლისი და მხოლოდ ადმინისტრაციამ და თბილისის განვითარების ფონმა 30.000.000-მდე ლარი გახარჯეს ტენდერის გარეშე. ამ ციფრებით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტმა ტენდერის გამოუცხადებლობით მინიმუმ 3.000.000 ლარით იზარალა, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი განმარტებით, ტენდერისა და კონკურენციის დროს საშუალოდ 10%-ით მცირდება თანხის მოცულობა, რიგ შემთხვევაში – 20%-თაც.

◆ ◆ ◆

კვლევისას აღმოჩნდა, რომ მერიას რჩეული კომპანიებიც ჰყოლია. ერთ-ერთია შპს ჯეუ გრუპი, რომელმაც მერიისგან ტენდერის გარეშე 4.993.986 ღირებულების ხელშეკრულება მიიღო.

– ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ ამ კომპანიამ ნელს ტენდერის გზითაც მიიღო 2.050.034 ლარის ხელშეკრულება თბილისის ბიუჯეტიდან. 2015 წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან ტენდერის გარეშე 1.138.154 ლარის ხელშეკრულება მიიღო, ხოლო ტენდერებით – 4.178.492 ლარი, – აღნიშნავს „მედიატორის“ დამფუძნებელი.

მისი ინფორმაციით, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ კომპანიამ თავისი პირველი ხელშეკრულებაც დავით ნარმანიასთან გააფორმა.

ეს მაშინ მოხდა, როცა ნარმანია ინფრასტრუქტურის მინისტრი იყო. 2013 წელს ამ სამინისტროსგან კომპანიამ პირველი ხელშეკრულება მიიღო 195.000 ლარის ღირებულების, შემდეგ – 111.111 და 79.999 ლარის.

– აღნიშნულმა კომპანიამ წელიწადსა და 5 თვეში დავით ნარმანიასგან 12.360.666 ლარის ხელშეკრულება გაიფორმა, – ამბობს ხაბეიშვილი.

„მედიატორის“ დამფუძნებლის თქმით, შესასწავლია ხელშეკრულებები, რამდენად კანონიერად მოხდა „ფორს მაჟორის“ გამოყენება და ტენდერის გზით ხელშეკრულებების გაფორმება.

მისივე თქმით, შესასწავლია კონკრეტული კომპანიების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებაც.

– გამოსაკვლევია, საქმე ხომ არ გვაქვს კორუფციულ გარიგებებთან. ასევე შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ ამ შემთხვევაში კონკრეტული კომპანიისა და დავით ნარმანიას ურთიერთობებით. ფაქტია, მინისტრობის დროს იყო პირველი, ვინც საქმე დაიჭირა ამ კომპანიასთან და ასიათასობით ლარის ხელშეკრულება გაუფორმა, ხოლო მას შემდეგ, რაც მერი გახდა, 6 მილიონამდე ლარის ხელშეკრულება ტენდერის გარეშე გაუფორმა, – აცხადებს ხაბეიშვილი.

დიმიტრი შაშკინი: „სად იყვნენ ეს კუნთმაგარი ბიჭები, როცა რუსი ეფრეიტორი კლავდა ქართველ ახალგაზრდას“

– ეს არის ძალიან ლოგიკური შედეგი იმისა, რაც ხდება ბოლო წლების განმავლობაში. ეს არის პროცესის დასაწყისი და სახეზეა სამოქალაქო დაპირისპირების აშკარა ნიშნები – ასე აფასებს „ნიუპოსტთან“ საუბარში თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამეგრელოში, სოფელ კორცხელში მომხდარ დაპირისპირებას, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედური არჩევნების მიმდინარეობისას მოხდა.

შაშკინი ამბობს, ზონდერბრიგადების გამოყენების ფაქტს ადგილი ჯერ კიდევ გარდაბანის არჩევნებში ჰქონდა, როცა, მისი თქმით, ასეთ დაჯგუფებებს უშუალოდ უმრავლესობის დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი ხელმძღვანელობდა.

– მე მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ იანვარში პირველად „ქართულმა ოცნებამ“ ზონდერბრიგადები გამოიყენა გარდაბანში, როდესაც მოჭიდავეები აზერბაიჯანელ მოსახლეობას უმტვრევდნენ მანქანებს და იყო მცდელობა საარჩევნო უბნების დარბევის. მაშინ მე კარგად მახსოვს, სესიაშვილთან და ლორთქიფანიძესთან მომივიდა დაპირისპირება, როცა ვთქვი, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ მოჭიდავე ზონდერებს სწორედ სესიაშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინ პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები დაიმალნენ, მიუხედავად იმისა, რომ მე ოფიციალურად მოვითხოვე პატრულის მოსვლა უბნებთან, სადაც ხდებოდა აზერბაიჯანული მოსახლეობის დაშინება, პატრული არ მოვიდა. მათ იცოდნენ, რა დიდ ცოდვასა და დანაშაულს ჩადიოდნენ. ამიტომ განვაცხადე მაშინ, რომ ეს იყო პროცესის დასაწყისი და ნურავის ჰგონია, რომ ის, რაც დღეს სამეგრელოში მოხდა, არის პროცესის დასასრული, – აცხადებს შაშკინი და ვარაუდობს, რომ ოქტომბრის არჩევნები იქნება ძალიან მძიმე.

შაშკინი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს აგებს და მიმართავს ყველა ზომას, რაც სამოქალაქო დაპირისპირების მაპროვოცირებელი გახდება.

– იმ ფონზე, როცა რუსი ეფრეიტორები გადმოდიან ჩვენს საზღვარზე, ხოცავენ ჩვენს მოქალაქეებს და კაციშვილმა არ იცის, სად არის პოლიცია და სპეცდანიშნულების რაზმები, ზაქარეიშვილი აკეთებს განცხადებებს, რომლის გამოც მე არ ვიცი, რა რეაქცია მოჰყვებოდა ნებისმიერ ქვეყანაში ამ ტიპის განცხადებებს, მგონი, ყველა ადეკვატურად მოაზროვნე ადამიანი მიხვდება ამას.

„ქართულმა ოცნებამ“, იმ პირობებში, როცა ის აგებს არჩევნებს და ამას ხედავს კარგად, გამოიყენა ზონდერბრიგადები და იყენებს სამოქალაქო დაპირისპირების მაპროვოცირებელ ქმედებებს. სამოქალაქო დაპირისპირებამ კი ჩვენი ქვეყანა 90-იან წლებში სადამდე მიიყვანა, ჩვენ ეს ვიცი და ვნახეთ.

ამ სიტუაციაში, პირდაპირ გეტყვით, ადამიანურად იმაზე დამწყდა გული, რომ ამ კუნთმაგარ ბიჭებს დიდი გული აქვთ, როცა ათი კაცი ერთ ადამიანს უპირისპირდება, მე მაინტერესებს – სად იყვნენ ეს კუნთმაგარი ბიჭები, როდესაც რუსი ეფრეიტორი კლავდა ქართველ ახალგაზრდას, თავიანთ ვაჟკაცობას რატომ არ აჩვენებდნენ? სად იყვნენ ეს კუნთმაგარი ბიჭები, როცა ომი იყო და რუსის ჯარი თბილისისკენ მოემართებოდა? ეს მაინტერესებს, თორემ ოცი კაცი რომ ერთ აზერბაიჯანელს დაიჭერს და მანქანას დაუმტვრევს, როცა ოცდაათი კაცი სამ ადამიანს დაესევა სამეგრელოში, ეს არ არის ვაჟკაცობა. მეც დავიბადე და გავიზარდე თბილისში და რა არის ქუჩის კანონი და რა არის პოლიტიკა ესეც კარგად ვიცი. ჩვენი ხელისუფლების პირობებში სპორტსმენები მიდიოდნენ ჯარში, რომ სამშობლო დაეცვათ, ამ ხელისუფლების ხელში სპორტსმენებისგან ქმნიან ზონდერბრიგადებს, რომ ოცდაათმა კაცმა სამს ურტყას.

მაგრამ, სამწუხაროა ის, რომ ეს ყველაფერი არის მხოლოდ და მხოლოდ პროცესის დასაწყისი და ყველამ უნდა გაიზიაროს და გაითვალისწინოს, რომ ეს ასე არ დასრულდება, – აცხადებს შაშკინი.

ყოფილი მაღალჩინოსანი მიიჩნევს, რომ ამ ვითარებაში პასუხისმგებლობა უშუალოდ პრემიერსა და შს სამინისტროს ეკისრება.

– პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ეკისრება „ქართულ ოცნებასა“ და პირადად კვირიკაშვილს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ყველაზე დიდი დანაშაულს ჩადის, რადგან პოლიცია დაიმალა. მაშინაც 90-იან წლებში პოლიცია დაიმალა და მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება. ახლაც იგივეა. მე არავის ვაშინებ, მაგრამ, როცა სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ხდება სამოქალაქო დაპირისპირება, – აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

ნიუპოსტი

ცოტნე გამსახურდია: „დღეს ბოკერიამ გაიმარჯვა. მისი ქმედებების სტილი ცოცხალია“

კორცხელის ცემა-ტყეპაზე გუშინ ცოტნე გამსახურდიამ ფეისბუქის გვერდზე კომენტარი გამოაქვეყნა. მას სრული სახით გთავაზობთ.

– დღეს დილას სამეგრელოში სრულიად ამაზრზენი, სამარცხვინო ფაქტი მოხდა! ალბათ, მხოლოდ გონებასუსტი ან უსინდისო თუ იკადრებს, რომ ნაცმოძრაობისა და გიგა ბოკერიასადმი სიმპათიაში დამადანაშაულოს... მაგრამ მსგავსი მოვლენები ბოკერიას, სააკაშვილს, მათი იდეოლოგიური მამის – შევარდნაძის ეპოქაში აბრუნებს ქვეყანას და სიცოცხლეს უხანგრძლივებს მათ მეთოდებს.

მაგალითად, მახსოვს, როცა 1993 წელს ოციოდე წლის გიგა ბოკერია წიხლებით შესდგა ასაკოვან, ავადმყოფ ქალბატონს, ცხონებულ ვალერია ნავადვორსკაიას უნივერსიტეტის ბაღში მხედრიონელებთან ერთად, რადგან მან ზვიად გამსახურდიასადმი მხარდაჭერის გამოხატვა გაბედა.

ასეა, როდესაც არ არის არგუმენტები, მის ადგილს ძალმომრეობა იკავებს. მოსახლეობას შეუძლია, დარწმუნებული იყოს მასში, რომ ის, ვინც მსგავსი მეთოდებით ცდილობს გამარჯვებას ოპონენტებზე, ხალხს კარგს არაფერს უქადის!

მერამდენედ უნდა ვნახოთ მოძალადე, უარგუმენტო ძალა ხელისუფლებაში, განხილვისა და პოლემიკისათვის დაკეტილი სივრცე? სივრცე, სადაც მართალია ის, ვისაც ძალა აქვს, ვინც ხელისუფლებაშია, ვინც როგორც უნდა ისე ჭრის და კერავს ამ უბედურ, შაგრენის ტყავივით დალეულ ქვეყანას, ითვისებს, ანადგურებს მის რესურსებს და საარსებო არეალს!?

უმკაცრესად უნდა დაისაჯონ ამ ინციდენტის შემსრულებლები და ორგანიზატორები, ისინი, ვინც დღეს კვლავ აყალიბებს ზონდერჯგუფებს და ვინც იქ სპორტსმენების მობილიზაცია მოახდინა! არ მითხრათ ახლა, თავისით მივიდნენო. თუ ასე ერჩით გული და ძალა, იქიდან ოციოდე კილომეტრში ქართველების მკვლელ ოკუპანტებს გასცენ პასუხი, თუ ბიჭები არიან! მაგრამ არა, ისინი არიან უბრალოდ მონები, ზონდერები, გლადიატორები, ისეთივე, როგორებმაც ამ რამდენიმე წლის წინ ქვები დაუშინეს იმავე კალაძეს, რაც, წესით, უნდა ახსოვდეს „ქართულ ოცნებას“...

ასეა თუ ისე, დღეს ბოკერიამ გაიმარჯვა... მისი ქმედებების სტილი ცოცხალია, ზეობს და კიდევ არაერთი წლის განმავლობაში უპერსპექტივო ჯუნგლად ყოფნას უქადის ქართულ პოლიტიკას.

რატომ შიმშილობენ უვადო პატიმრები

გიორგი თევზაძე: „პარლამენტს ამნისტიის კანონში ხარვეზის გასწორება არ სურს“

გულიკო ბალაძე

რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების მე-8 და მე-6 დაწესებულებებში მოთავსებულმა უვადო პატიმრობამისჯილმა პატიმრებმა შიმშილობა დაიწყეს. მათ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამოცემული ამნისტია არ შეხებიათ.

უფლებადამცველი და სასჯელაღსრულების მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრი გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ პატიმრების შიმშილობის მიზეზებზე საუბრობს.

– სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ინტენსიურად შემოდის მსჯავრდებულთა განცხადებები ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციაში. ისინი მოითხოვენ მათი სისხლის სამართლის საქმეებისა და მათ მიმართ წინა ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესწავლას. ჩვენ რეაგირებისათვის პროკურატურას ვუგზავნით და შემდეგ ვამოწმებთ განცხადებაზე რეაგირებას, – განაცხადა გიორგი თევზაძემ.

– უვადო პატიმრობამისჯილებმა შიმშილობა დაიწყეს. რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

– ახალი ხელისუფლების პერიოდში პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას სისტემური ხასიათი არ აქვს. ამჯერად უვადო პატიმრობამისჯილი პატიმრები ცდილობენ, მიაღწიონ სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვას. მაგალითად, რუსთავის მე-6 დაწესებულებაში მოთავსებულია უვადო მსჯავრდებული გოგიტა მჭედლიშვილი. მის საქმეში ადგილი აქვს პროცესუალური ნორმების უხეშ დარღვევებს. ამიტომ ითხოვდა და ითხოვს მისი საქმის შესწავლას.

სასჯელაღსრულების მე-8 და მე-6 დაწესებულებებში რამდენიმე ათეულმა უვადო პატიმრობამისჯილმა შიმშილობა გამოაცხადა. მათ უვადო პატიმრობა შეეფარდათ 2012 წლის დეკემბრის ბოლოს. ისინი პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის შესახებ კანონში ხარვეზის გასწორებას მოითხოვენ.

– რამდენი ადამიანი შიმშილობს?

– გლდანის მე-8 დაწესებულებაში სულ 58 უვადო პატიმრობამისჯილი პირია მოთავსებული. მათგან 42-მა შიმშილობა დაიწყო.

– ხარვეზის გასწორება როგორ წარმოგიდგენიათ?

– სამართლიანი მოთხოვნაა. ამნისტიის შესახებ კანონში თავიდანვე დაშვებულ იქნა ხარვეზი. წინასაარჩევნო დანაპირები უკავშირდებოდა სამართლიანობის აღდგენას, რაც ამომრჩევლებისთვის კარგი სატყუარა აღმოჩნდა.

– პარლამენტს ხარვეზის გამოსწორება არ სურს?

– მართალია, საკანონმდებლო ხარვეზი რაღაცნაირად გამოსწორდა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. პარლამენტს ჯერჯერობით ამ საკითხის განხილვა არ სურს.

– უვადო პატიმრებისთვის რა შეიძლება შეიცვალოს და როგორია მათი შეწყალების მექანიზმი?

– ამაზე მსჯელობენ. თუ ხელისუფლების პოლიტიკური ნება იქნება, შეიძლება უვადო პატიმრობა ვადიანით შეიცვალოს.

* * *

სახალხო დამცველი მე-7 დაწესებულების გაუქმებას ითხოვს. გიორგი თევზაძე აღნიშნავს, რომ უფლებადამცველებმა არაერთხელ დააყენეს მე-7 დაწესებულების გაუქმების საკითხი, მაგრამ სამინისტრო ამ ეტაპზე ვერ იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების სრული ლიკვიდაციის თაობაზე.

– უახლოეს მომავალში იგეგმება დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება და მსჯავრდებულების შესაბამისი რისკის დაწესებულებებში გადანაწილება. ასევე იგეგმება მე-7 დაწესებულების სრულყოფილი რეაბილიტაცია და დაწესებულების პირველი სართულის სრული გაუქმება. დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტი მნიშვნელოვნად მცირდება, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

2016 წლის თებერვლიდან მე-7 დაწესებულებაში უკვე ამცირებენ პატიმართა რაოდენობას. მე-6 დაწესებულებაში თანდათან 19 მსჯავრდებული გადაიყვანეს.

– დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და მისი თავდაპირველი დანიშნულების (საგამოძიებო იზოლატორი) გათვალისწინებით, უფლებადამცველებს გვებადება კითხვები, როგორ მოხდება დაწესებულების „რეაბილიტაცია“ იმგვარად, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამებოდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიმართ დადგენილ საერთაშორისო ნორმებს. მე-7 დაწესებულების გაუქმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, – აღნიშნავს გიორგი თევზაძე.

* * *

ირღვევა თუ არა პროცესუალური უფლებები პირის დაკავებისა და გამოძიების პერიოდში და რამდენად ახორციელებენ არასამთავრობოები მასზე მონიტორინგს?

გიორგი თევზაძის თქმით, სამწუხაროდ, მონიტორინგის საშუალება უფლებადამცველებს არ აქვთ, რადგან ხელისუფლებას ამისთვის პოლიტიკური ნება არ გააჩნია, რაც გამჭვირვალობის ნაკლოვანებაზე მიუთითებს.

– უფლებადამცველებმა ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის დროს მივმართეთ, გენინსპექციასთან შექმნილიყო დამოუკიდებელი მონიტორინგის ჯგუფი ან საბჭოს სახით, რომელთანაც იმუშავებდა ცხელი ხაზი. თითოეულ შემოსულ ინფორმაციაზე ჯგუფი გავიდოდა და შეისწავლიდა შემოსული ინფორმაციის სინამდვილეს. სამწუხაროდ, ასეთი გამჭვირვალე სისტემის შექმნის იდეაზე პასუხიც კი არ გაუციათ, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

სასჯელაღსრულების სამინისტროში მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბება მსჯელობის საგანია.

სახალხო დამცველთან მოქმედებს პრევენციული ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს პენიტენციარულ სისტემაში. საზოგადოებისთვის საინტერესოა, პრევენციული ჯგუფი მოახდენს თუ არა საზოგადოების ინფორმირებას მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

პირველი რესპუბლიკის ბაღში მასმედიამ ყვავილები დარგო

ნონა ცაბაძე

26 მაისს საქართველოს ხელისუფლება გრანდიოზულად აღნიშნავს. ღონისძიებები უკვე დაწყებულია.

სახელმწიფო მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით პირველი რესპუბლიკის სახელობის ბაღში მასმედიის წარმომადგენლებმა შვილებთან ერთად ბაღში ყვავილები დარგეს და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

გვესაუბრება მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ეკა ჯოჯუა.

– ეკა, ვისი ინიციატივით დაიგეგმა ეს ღონისძიება?

– ეს არის მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივა. ეს არ არის შემთხვევითი აქცია. ჩვენ პირველი რესპუბლიკის ბაღში ვიმყოფებით ჩვენს შვილებთან ერთად, ვრგავთ ყვავილებს იმისთვის, რომ ახსოვდეთ ჩვენს შვილებს და იცოდნენ, რა არის ეს დღე ჩვენთვის. ჩვენ ყველამ ერთად გადავიღეთ ისტორიული ფოტო.

– რა დატვირთვა აქვს ამ ფოტოს?

– სწორედ ამიტომ ვახსენე სიტყვა ისტორიული. ეს ფოტო 26 მაისს საზეიმოდ ჩაიდება დროის კაფსულაში და ეს იქნება ჩვენი გზავნილი საქართველოსთვის, როგორი გვინდა იყოს საქართველო!

– ეს ღონისძიება 26 მაისის ფარგლებში იმართება?

– დიახ, ეს ჯდება 26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ცნობილი ჟურნალისტები შვილებთან ერთად. ტელეიმედის ჟურნალისტი ეკა ხოფერია რესპუბლიკის ბაღში სამ შვილთან ერთად იმყოფებოდა.

– ეკა, რა განწყობით ხართ, რას იტყვით ამ დღესთან დაკავშირებით?

– პირველი რესპუბლიკის ბაღი მართლაც ისტორიული ბაღია. ძალიან მომწონს ეს ამბავი, რომ მეც, თქვენც ჩვენს შვილებთან ერთად მცირე წვლილი შეგვაქვს მის გალამაზებაში და ვაკეთებთ იმას, რაც ერთგვარი გზავნილიც არის დამოუკიდებლობის 25 წლისადმი. ყოველთვის მომწონდა ეს ბაღი, მაგრამ აქ ადრე ვერ შემოვდიოდით.

– ყოველთვის დახურული სივრცე იყო.

– დიახ, დახურული სივრცე იყო, უშიშროების სამინისტრო იყო აქ და სულ მახსოვს, გისოსებს იქით ვიდექი და ისე ვტკბებოდი ამ სილამაზით. დღეს ჩვენ ისტორიულ ადგილას ვიმყოფებით. სწორედ აქ მოეწერა ხელი დამოუკიდებლობის აქტს და ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჟურნალისტები, რომლებიც ვერასოდეს ვიცლით ჩვენი შვილებისთვის, დღეს მათთან ერთად მოვედით და ყვავილებით ვალამაზებთ ამ ბაღს. ესეც ერთი პატარა ისტორიული ფურცელია ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრებაში.

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი ამბობს, რომ მისთვის ეს არის ერთგვარი მზადება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დღისთვის, რომელიც 2018 წელს იქნება და რომელსაც სულ სხვანაირად აღვნიშნავთ.

– ასი წლის თავზე სულ სხვანაირად გავიაზრებთ და გავითავისებთ, რომ სახელმწიფო არის ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ. სხვა შემთხვევაში ისევე სწრაფად დავკარგავთ, როგორც დავკარგეთ 1921 წელს. ბავშვების ჩართულობა ყვავილების დარგვაში, თან პირველი რესპუბლიკის ბაღში, ერთგვარად ცნობადობის ამაღლებასაც ემსახურება. მე დღეს მათ ვუამბე, თუ როგორ მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

როდესაც ორ წელიწადში ჩვენ 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ, ამ ბავშვებს უფრო მეტი ეცოდინებათ. ეს სახელმწიფო მათია და მათი მოსაფრთხილებელია, – გვითხრა გოგა ჩანადირმა.

რუსების მიერ გატაცებული საქართველოს 4 მოქალაქე გათავისუფლებულია

იმერეთში, ე.წ. გამყოფ ხაზთან რუსი „მესაზღვრეების“ მიერ გატაცებული საქართველოს 4 მოქალაქე გათავისუფლებულია.

საჩხერის რაიონის სოფელ სპეთის მკვიდრებს ცხინვალის ე.წ. სასამართლომ 2-2 ათასი რუბლის გადახდა დააკისრა. მათ დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში ედავებოდა. დაკავებულები ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

ახლობლების ინფორმაციით, დაკავებისას საქართველოს 4 მოქალაქე ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრიდან 8 კილომეტრში, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

– ჯერ ზნაურის იზოლატორში დაგვკითხეს, იქიდან გადაგვიყვანეს ცხინვალში. ბოლოს სასამართლოს შემდეგ გამოგვიშვეს. სასამართლომ დაგვიდგინა, რომ ვიმყოფებოდით მათ ტერიტორიაზე და 2-2 ათასი რუბლი ჯარიმა გამოგვიწერა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ერთ-ერთმა დაკავებულმა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის უშიშროების კომიტეტის ინფორმაციით, დაკავება 19 მაისს ზნაურის რაიონში დასახლებულ პუნქტ აბანო-ნაგუთნის ტერიტორიაზე განხორციელდა.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ავღანეთში ნატოს ჯარისკაცების აფეთქება ცადეს

ქაბულის მახლობლად ტერორისტმა შაჰიდმა განახორციელა თავდასხმა ნატოს სამხედრო მანქანაზე. მან ცადა, მოქმედებაში მოეყვანა თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რათა საკუთარ თავთან ერთად ნატოელი სამხედროებიც აეფეთქებინა.

ტერორისტი დროულად დააკავეს. აფეთქება არ მომხდარა. ნატოელი ჯარისკაცებიდან არავინ დაზარალებულა. ნატოს ჯარისკაცებზე თავდასხმის გამო პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო. პასუხად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა განახორციელეს დარტყმა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე, სადაც თალიბანის ლიდერ მოლა მანსურის შტაბი მდებარეობს.

თალიბანის განცხადებით, აჰტარ მანსური დაიღუპა.

ბაღდადში დემონსტრაცია დახვრიტეს

ერაყის დედაქალაქში მორიგი საროტესტო დემონსტრაცია გაიმართა.

30.000-იანი დემონსტრაცია „მწვანე ზონისაკენ“ დაიძრა, სადაც უცხოეთის საელჩოებია განთავსებული. პოლიციამ მანიფესტანტებს გზა გადაუღობა. ხანმოკლე შეხლა-შემოხლის შემდეგ მანიფესტანტებმა პოლიციის დერეფანი გაარღვიეს. მაშინ პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს.

შედეგად დემონსტრანტები დაიფანტნენ. დაიღუპა 4 ადამიანი, 90-ზე მეტი დაშავდა.

ბაღდადში კომენდანტის საათია შემოღებული. ქუჩებში შეიარაღებული სამხედროები პატრულირებენ.

ობამა აზიაში ერთკვირიან ტურნეს იწყებს

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ერთკვირიან ტურნეს იწყებს. პრეზიდენტი ეწვევა ვიეტნამს, იაპონიას.

ამ ვიზიტის მიზანია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება, განსაკუთრებით უსაფრთხოების დარგში.

სროლა თეთრ სახლთან

უცნობმა პირმა თეთრი სახლის მახლობლად მყოფ დაცვას ცეცხლი გაუხსნა. საპასუხო გასროლის შედეგად ის მძიმედ დაიჭრა.

თავდამსხმელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის დაკავებულია და ციხის ჰოსპიტალში იმყოფება.

სროლის დაწყების მომენტში პრეზიდენტი ობამა თეთრი სახლის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა. ის ილინოისის სამხედრო ბაზაზე გოლფს თამაშობდა. თეთრ სახლში არც ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი იყო.

თეთრ სახლთან სროლის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

პენტაგონმა მოსკოვის წინადადება უარყო

პენტაგონმა ოფიციალურად უარყო რუსეთის თავდაცვის მინისტრ შოიგუს წინადადება სირიაში ერთობლივი ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების თაობაზე. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება შეუძლებელია, რადგანაც მიზნები, რომლებსაც რუსები და ამერიკელები ისახავენ, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავდება.

– რუსების მიზანი დიქტატორ ასადის რეჟიმის გადარჩენაა, ჩვენ კი ტერორისტების განადგურებისა და მშვიდობის აღდგენისკენ მივისწრაფვით, – თქვა პენტაგონის სპეციალურმა წარმომადგენელმა დევისმა.

პოლონეთში რუსი ჯაშუში დააკავეს

პოლონეთის კონტრდაზვერვამ დააკავა პრორუსული პარტია სმენას ლიდერი პისკორსკი.

მას რუსეთის სასარგებლოდ შპიონაჟი ედება ბრალად.

პისკორსკი ცნობილი იყო თავისი პრორუსული შეხედულებებით. ის გამოდიოდა როგორც ყირიმის ანექსიის, ასევე დონეცკ-ლუგანსკის „რესპუბლიკების“ აღიარების ლოზუნგებით. ის აგრეთვე აცხადებდა, რომ ოფიციალურმა ვარშავამ უნდა აღიაროს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა.

პისკორსკი პოლონეთის ხელისუფლებისგან „ეროვნული პოლიტიკის“ გატარებას მოითხოვდა. მისი აზრით, პოლონეთს ორიენტაცია უნდა აეღო არა ნატოზე ან ევროკავშირზე, არამედ პუტინის რუსეთზე.

– როგორც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, ისე ჩვენც უნდა შემოვიერთოთ დასავლეთ უკრაინა! ევროპა და ამერიკა ამას შეეწინააღმდეგებიან. შესაბამისად, ჩვენი მოკავშირე რუსეთია, – ამბობდა პისკორსკი.

პარტია სმენას ლიდერი ციხეში იმყოფება. მას შპიონაჟისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

რუცკოი უკრაინის დაბომბვას ითხოვს

რუსეთის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე რუცკოიმ მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის პოლიტიკა უკრაინის მიმართ.

მისი აზრით, რუსეთის ხელისუფლება მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს, რაც დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის გავლენითაა განპირობებული.

– უკრაინელი ნაციონალისტები ჩვენს მოქალაქეებს ხოცავენ. ეს დღისით-მზისით ხდება და ამასთან შეგუება დაუშვებელია, – ამბობს რუცკოი.

მისი აზრით, აუცილებელია როგორც უკრაინული არმიის პოზიციების, ასევე უკრაინული ქალაქების ისკანდერის ტიპის რაკეტებით დაბომბვა. ამით, რუცკოის აზრით, დონბასში მშვიდობა დამყარდება.

– უკრაინელთა ერთი გასროლის პასუხად უნდა მოხდეს ისკანდერის ტიპის რაკეტით ათი საპასუხო გასროლა, – თქვა პატივცემულმა რუცკოიმ, – მაშინ არცერთ უკრაინელს ომის ხალისი აღარ ექნება.

დონბასში ეუთოს პოლიციური მისია უნდა შევიდეს

დონბასში შექმნილი მდგომარეობა ბევრი პოლიტიკოსის შეშფოთებას იწვევს. ბელარუსის ლიდერი ალექსანდრე ლუკაშენკო ახალი სამშვიდობო ინიციატივებით გამოვიდა. მან განაცხადა, რომ სასურველია, მინსკში ერთმანეთს შეხვდნენ რომის პაპი და რუსეთის პატრიარქი, რათა დონბასში შექმნილი მდგომარეობა განიხილონ.

– იმედი მაქვს, პაპისა და რუსეთის პატრიარქის საერთო ძალისხმევა შედეგს გამოიღებს, – თქვა ლუკაშენკომ.

ამასობაში გრძელდება დისკუსიები დონბასში ეუთოს პოლიციური მისიის ჩაყენების თაობაზე. უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ კვლავ მოითხოვა დონბასში ეუთოს შეიარაღებული პოლიციური მისიის შეყვანა.

– მდგომარეობა მწვავდება და, თუ ხსენებული მისიის შეყვანა გაჭიანურდა, სიტუაცია შესაძლოა უმართავი გახდეს, – აცხადებს პოროშენკო.

უკრაინის პრეზიდენტის აზრით, ეუთოს პოლიციური მისიის უფლებამოსილება მაქსიმალურად ფართო უნდა იყოს, მისი რაოდენობა კი მინიმუმ 11.000-ს აღწევდეს.

ამის წინააღმდეგ კატეგორიულად ილაშქრებს მოსკოვი.

– ეუთოს პოლიციური მისიის რაოდენობა 500 კაცს არ უნდა აღემატებოდეს, – ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

როგორც ჩანს, მოლაპარაკებები დონბასში ეუთოს პოლიციური მისიის შეყვანის თაობაზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

უნივერსალური თმის საკრეჭი 25 ლარი 65 ლარის ნაცვლად!

აღწერა:
- კრეჭვის დონის 5 საფეხურიანი მარეგულირებელი
- ძრავის ხმაურის დაბალი დონე
- ძრავის ბრუნი 1000 1/წთ
- საწმენდი ჯაგრისი
- მაკრატელი
- დანების ზეთი
- 4 საკრეჭი თავი
- მასალა-უჟანგავი ფოლადი
- მოდელი sk305

მასაჟორი – 30 ლარი 80 ლარის ნაცვლად

- ამსუბუქებს ტკივილს ზურგის, მხრებისა და კისრის არეში;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აშორებს ცელულიტს ნებისმიერი პრობლემური ზონიდან;
- არაჩვეულებრივი საშუალებაა ფეხებისა და ტერფების მასაჟირება– რელაქსაციისთვის;
- 4 სახელმძღვანელო თავი;

მზის სანათი 25 ლარი 50 ლარის ნაცვლად

საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;
– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი.შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობლური, აიპოდი და სხვა

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

ვლადიმერ ვაისი: „ვეცადე, ამ ეტაპზე უძლიერესები გამომეძახებინა“

„ყაზახეთთან თამაშის მერე ყაზაიშვილს ვუთხარი, რომ თავისი უდიდესი ნიჭი მოედანზე უნდა გამოავლინოს“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 24 მაისს შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება და ლინცთან ახლოს დაბინავდება.

სლოვაკი მწვრთნელის, ვლადიმირ ვაისის შეგირდები ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ: 27 მაისს ქალაქ ველსში სლოვაკეთს გაეჯიბრებიან, 3 ივნისს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან ჩაატარებენ ამხანაგურ მატჩს, 7 ივნისს კი მადრიდში ესპანელებთან ითამაშებენ.

შეკრების დაწყებამდე ვაისი ჟურნალისტებს შეხვდა და მოახლოებული სამი ამხანაგური თამაშის წინ ისაუბრა.

ვლადიმერ ვაისი:

– ეს იქნება ბოლო შეკრება მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე. ყველანაირად ვეცადე, ამ ეტაპზე უძლიერესები გამომეძახებინა. ვნახავთ, როგორ ფიზიკურ კონდიციებში იმყოფებიან ისინი. დიდი იმედი მაქვს, დავიდ ჯიქია გადაწყვეტს, რომ საქართველოს ნაკრებში ითამაშოს. მას ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია და რუსეთის მოქალაქეობა აქვს. მინდა, რომ გიორგი ნავალოვსკის ნაკრებში კონკურენტი ჰყავდეს.

– როგორი იქნება ნაკრების ტაქტიკური სქემა ამჯერად?

– მსურს, ყაზახეთთან თამაშის შემდეგ პროგრესი იყოს და ბევრად უკეთესად ვითამაშოთ, მაგრამ იმ საღამოსაც იყო ნაკრების თამაშში დადებითი მომენტები. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამჯერად ბევრად ძლიერ გუნდებს ვხვდებით და ჭკვიანურად თამაში გვმართებს.

– ჯაბა ლიპარტია უკრაინაში თამაშობს და თუ არის თქვენი თვალთახედვის არეში?

– ეს ფეხბურთელი ჯერ ჩემთვის ნაცნობი არაა და ამიტომაც არ მოხდა მისი გამოძახება ამ დროისთვის. იმ ფეხბურთელებსაც ვაქცევ ყურადღებას, რომლებიც ადრეც თამაშობდნენ ნაკრებში. მე ვიყავი პოლონეთში, სადაც ვნახე ვლადიმერ დვალიშვილის თამაში და ძალიან მომეწონა. თავდასხმაშიც გვჭირდება კონკურენცია, რადგან ლევან მჭედლიძეს ემპოლიში პრობლემები ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას დინამოელ გიორგი ქვილითაიაზეც.

– ნაკრების დებიუტანტებზე რას იტყვით და თუ ჯიქიას პრობლემა ვერ მოგვარდა, აპირებთ თუ არა ტორპედოს მცველ გიორგი ქიმაძის გამოძახებას?

– ვნახე მისი თამაში და სანაკრებო სიაში გათვალისწინებული მყავს, მაგრამ ამ ეტაპზე მინდა, შანსი ცისკარიძეს მივცე. მას შეუძლია, დაცვაში სამ პოზიციაზე ითამაშოს. ჩეხეთში თამაშობს ტეპლიცეში და ერთი წელია, რაც საქართველოს მოქალაქეობა აქვს. გაფართოებულ სიაში კიდევ ბევრი ფეხბურთელი მყავს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს 25 კაცი ავარჩიე.

– ნაკრებში არ არის გიორგი ლორია. ვინ იქნება მისი შემცვლელი?

– ლორიას მიკროტრავმა აქვს და, იმედია, რამდენიმე კვირაში იქნება ფორმაში. რაც შეეხება სხვებს, ვარჯიშებზე დავაკვირდები და იმის მიხედვით გადავწყვეტ, ვინ ითამაშებს. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ვარჯიშებზე კარგად თავის წარმოჩენა.

– მიეცემა თუ არა შანსი გიორგი მაკარიძეს, რომელიც საკმაოდ კარგ ფორმაშია, თუმცა ნაკრებში კარგა ხანია აღარ უთამაშია?

– ვნახოთ, შევხედავთ. ახლა ამის გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ძირითად შემადგენლობაში სამივე თამაშში ნუკრი რევიშვილი არ იქნება.

– არიან თუ არა საქართველოს ჩემპიონატიდან თქვენს ინტერესის სფეროში კიდევ სხვა ფეხბურთელები?

– ძირითადად მხოლოდ დინამოს თამაშებს ვუყურებდი და შესაბამისად, მისი ფეხბურთელები მომხვდნენ თვალში. ვფიქრობ, ვინც გამოვიძახე, ახლა მზად არიან ნაკრებში სათამაშოდ. თუმცა, მომავალში სხვებსაც დავაკვირდებით და ვნახოთ, რამდენად მოახერხებენ ნაკრებში მოხვედრას. სლოვაკეთთან მატჩში დაგვაკლდება გიორგი აბურჯანია, რომელიც სწორედ ამ თამაშის შემდეგ შემოგვიერთდება.

– გოგიტა გოგუას შესახებ რას ფიქრობთ?

– მას კარგად ვიცნობ, რადგან სატურნში ჩემთან თამაშობდა. იგი არის ჩვენი ყურადღების ცენტრში, თუმცა ამ ეტაპზე მისი გამოძახება საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

– რა არის ჩვენი ფეხბურთელების პლუსი და მინუსი, რომელიც გამოარჩევს მათ ევროპული ფეხბურთელებისგან. თქვენ ყოველთვის გამოირჩეოდით ინოვაციებით, აპირებთ თუ არა მათ დანერგვას საქართველოშიც?

– ქართული ფეხბურთი ყოველთვის იყო ტექნიკური და დინამიური. მინუსი ფიზიკური მომზადებაა. საქართველოს ნაკრები ხშირად გოლებს ბოლო წუთებში უშვებს. თუმცა, ნიჭიერი მოთამაშეები ყოველთვის გყავდათ. საქართველოს ნაკრებს დიდი პოტენციალი აქვს, მთავარია, ბიჭებმა ეს მოედანზე გამოავლინონ.

არიან ტალანტები – ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი, მჭედლიძე, ანანიძე. ყაზახეთთან თამაშის მერე ყაზაიშვილს პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი უდიდესი ნიჭი და შესაძლებლობა მოედანზე უნდა გამოავლინოს. ისინი უნდა იყვნენ როგორც კარგი ფეხბურთელები, ისე კარგი ადამიანები, რადგან ეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პიროვნულ თვისებებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოედანზე.

წარმატება თავისით არ მოდის, ამას შრომა სჭირდება, თორემ ზოგადად, კარგი იქნებოდა 20 ისეთი ფეხბურთელი მყავდეს, როგორებიც არიან ჯაბა კანკავა და გურამ კაშია – ასპროცენტიანი პროფესიონალები. ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ და, იმედია, ყველაფერი კარგად გამოგვივა.

– რას იტყვით ოთარ კაკაბაძეზე? რამდენად აქვს შანსი, დაიმკვიდროს ადგილი ნაკრებში?

– კაკაბაძე ახლა გადადის ხიმნასტიკში. რამდენადაც ვიცი, ეს გადაწყვეტილია და ძალიან კარგი ამბავია.

ნეიმარმა პსჟ-ს უარი უთხრა

ბარსელონის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, ნეიმარმა, პსჟ-ში გადასვლასა და მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად გახდომაზე უარი განაცხადა.

ბარსელონა და ნეიმარი ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებენ. ბრაზილიელი ფეხბურთელის შეძენის სურვილს პარი სერ ჟერმენიც გამოთქვამდა, რომელიც მზად იყო, ნეიმარი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად ექცია. პარიზელები მზად იყვნენ, ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა 190 მილიონი ევროც გადაეხადათ, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან ნეიმარმა ბარსელონაში დარჩენა გადაწყვიტა.

ნეიმარი ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს მალე გააფორმებს. ხელშეკრულება 2022 წლამდე იქნება გათვლილი და ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა 225 მილიონი ევრო იქნება.

ბრაზილიელი, ლიონელ მესის შემდეგ, გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

შედეგები

21 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. თასი

ფინალი

მანჩესტერი-კრ.პალასი ..... 2:1(დდ)

ესპანეთი. სუპერ დივიზიონი

ალბასეტე-ალკორკონი 0:2
ხირონა-მალიორკა 1:0
კორდობა-ელჩე 3:1
ტენერიფე-ვალიადოლიდი 3:1
ლეგანესი-უესკა 2:3

გერმანია. თასი

ფინალი

ბაიერნი-დორტმუნდი ..... 0:0(4:3პ)

იტალია. თასი

ფინალი

იუვენტუსი-მილანი ..... 1:0(დდ)

საფრანგეთი. თასი

ფინალი

პსჟ-მარსელი 4:2

ხუსეთი. პრემიერლიგა

რუბინი-ცსკა 0:1
დინამო-ზენიტი 0:3
კრასნოდარი-ამკარი 1:0
კრილია-ანჟი 0:0
ლოკომოტივი-მორდოვია 3:0
ტერეკი-როსტოვი 0:2
ურალი-ყუბანი 2:0
უფა-სპარტაკი 3:1

შოტლანდია. თასი

ფინალი

რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1

ბელგია. იუპილიგა

კორტრაიკი-შარლერუა 1:2

უკრაინა. თასი

ფინალი

ზორია-შახტარი 0:2

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ორხუსი 3:3

შვედეთი. ალსვენსკა

სუნდსვალდი-ესტერსუნდი 5:0

ნორვეგია. ტიპელიგა

სტაბეკი-ტრომსი 0:3
მიოლდე-ბრანი 2:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-ილვესი 1:0
კუუპიო-სეინეიოკი 0:0
ჰაკა-ოულუ 2:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

შვედეთმა ევროპისკენ თბილისიდან გაიწია

თბილისში გაიმართა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ფრენბურთში. საქართველოს დედაქალაქს შვედეთის, შვეიცარიისა და აზერბაიჯანის ნაკრებები ეწვივნენ. ჩვენს ნაკრებთან ერთად ამ ოთხეულს უნდა

გამოევლინა ერთი უძლიერესი, რომელიც შემდეგ ეტაპზე გადავიდოდა, თუმცა შანსი მე-2 ადგილზე გასულსაც ჰქონდა, რადგან 3 ჯგუფში გადანაწილებული გუნდებიდან საგზურს საუკეთესო მე-2 ადგილოსანიც მიიღებს.

ფავორიტად შვეიცარია მიიჩნეოდა, საქართველო კი აუტსაიდერთა რიგებში იყო. სპეციალისტთა აზრი მხოლოდ ჩვენმა ნაკრებმა გაამართლა, რომელმაც სამივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (0:3) წააგო. ერთადერთი დადებითი, რომელიც თვალში მოგვხვდა, ის იყო, რომ ნაკრებმა ბოლომდე იბრძოლა ყველა სეტში.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა პირველი ადგილისთვის, სანამ შვედები და შვეიცარიელები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ორივე მეტოქეს სძლიეს. უფრო დამაჯერებელი ანგარიშით შვეიცარიელებმა მოიგეს და ფავორიტის სტატუსსაც ამართლებდნენ, მაგრამ სკანდინავიელებმა მოახერხეს და დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვეს.

პირველი სეტი შვეიცარიამ 25:18 მოიგო, მაგრამ შემდეგ 2 სეტი ერთნაირი ანგარიშით (12:25) წააგო. საქმე მხოლოდ მე-4 სეტში გამოასწორა, თუმცა, გადამწყვეტი, მე-5 სეტი შვედეთმა 16:14 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ქუთაისი ფინალში დაწინაურდა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის ფინალური სერიის მესამე მატჩი.

დინამო – ქუთაისი 60:94

(11:18; 14:31; 18:25; 17:20)

სერიის ანგარიში 1:2

დინამო: შარაბიძე (6ქ), ბერიშვილი (10ქ), გოგოძე (14ქ,7მ), მაკალპი, კოვაჩევიჩი (12ქ), ბაქარაძე, მაილსი (2ქ), სანაძე (2ქ), მაჩალაძე (2ქ), შვანგირაძე, ზაქრაძე (8ქ), ტატუნაშვილი (4ქ)

ქუთაისი: ბოისა (9ქ,7მ), ფაშაევი (9ქ,6პ), ცეკვავა (13ქ), ქადარია (8ქ), ბექაური (9ქ,8მ), ბაბუნაშვილი (8ქ), ბრიტონი (16ქ), დ.ბარბაქაძე, გ.ბარბაქაძე (11), მათიაშვილი (11ქ), წივწივაძე

სუპერლიგის ფინალური სერიის მესამე მატჩმა არ გაამართლა. ბრძოლა არ გამოდგა ფინალის შესაფერისი. ქუთაისმა ძალიან იოლად და დამაჯერებლად დაამარცხა დინამო და სერიაში 2:1 დაწინაურდა. წინ მორიგი მატჩია, რომლის მოგების შემთხვევაშიც კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისელები ჩემპიონები გახდებიან. არადა, ფინალური სერიის მე-5, გადამწყვეტი მატჩი ქუთაისში 26 მაისს გაიმართება.

ქუთაისმა საქმე ნაადრევ გამარჯვებამდე დალაგებული და შედეგიანი თამაშით მიიყვანა. დინამოელები ერთადერთხელ იგებდნენ, როცა მიხეილ ბერიშვილმა მატჩის პირველი ბურთი ჩააგდო და მასპინძლები 2:0 დააწინაურა. ქუთაისელებმა დაცვისა და შეტევაში გააზრებული თამაშის წყალობით უპირატესობა მალევე მოიპოვეს და დაწინაურდნენ.

გიორგი შარაბიძე ქუთაისელთა ფარქვეშ პოზიციების გამაგრებას შეეცადა, მაგრამ ვახტანგ ქადარიასა და ბექა ბექაურის შეწყობილი თამაშით დინამოელთა ცენტრს ამის საშუალება არ მიეცა. უკანა ხაზში კი ქუთაისელებს ანატოლი ბოისას შედეგიანობამ უპირატესობა მოუტანა. ვეტერანმა კალათბურთელმა საშუალო სროლებიც ჩააგდო, შორიც და დაცვაშიც კარგად გაისარჯა. სისწრაფეში ქუთაისელებს ზაურ ფაშაევისა და გოგა ცეკვავას სისხარტემ მოუტანა უპირატესობა, ხოლო რიჩარდ მათიაშვილმა ფარქვეშ აშკარად აჯობა ოპონენტებს.

18:11 მოგებული პირველი პერიოდის შემდეგ ქუთაისელებმა მეორე ათწუთიულში 31:14 იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე 24-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. თამაშის განახლებიდან მალევე თამაშის ბედიც გადაწყდა. დინამოელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს სტუმართა გამართულ თამაშს და ქუთაისელთა გამარჯვება მატჩის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაირკვა.

ქუთაისს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია, რადგან ტუღუშის გუნდის წევრებმა გუნდურად ითამაშეს. 16 ქულით ბომბარდირი ჯონ ბრიტონი გახდა. 13 ქულა დაგროვდა გოგა ცეკვავას ანგარიშზე, გიგი ბარბაქაძემ და მათიაშვილმა – 11-11, ხოლო სამმა კალათბურთელმა – ბოისამ, ფაშაევმა და ბექა ბექაურმა 9-9 ქულა მიითვალეს. დინამოელთაგან 14 ქულით ბომბარდირი ნოდარ გოგოძე გახდა.

ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– საერთოდ ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, დავუშვით ის შეცდომები, რომლებიც არ უნდა დაგვეშვა. ბუნებრივია ხდება ასე, როდესაც მსგავსი დაძაბული მატჩებია. სუპერფინალებია და ბევრი პირველად თამაშობს, თუმცა 2:1-ია მხოლოდ ჯერჯერობით. ვეცდებით, ჩვენი შანსი ბოლომდე გამოვიყენოთ.

კოტე ტუღუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:

– მიუხედავად ქუთაისში წაგების შემდეგ, ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჩამოვიდა თბილისში გასამხნევებლად და ჩვენ უბრალოდ უფლება არ გვქონდა სხვანაირად გვეთამაშა. ბოლომდე დავიხარჯეთ, გავაკეთეთ მაქსიმალურად ყველაფერი, რომ ეს თამაში მოგვეგო. ანგარიშის სხვაობა ცოტათი დიდი კი იყო, მაგრამ ეს არაფერს, საერთოდ არაფერს ნიშნავს. წინ გვაქვს უმძიმესი თამაში დინამოსთან. ჩვენი მიზანი იყო ერთი თამაში მაინც მოგვეგო თბილისში. მინიმუმი შესრულებულია. უნდა ვეცადოთ, რომ მეორეც მოვიგოთ.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სპორტი

ზურაბ ცისკარიძე: „შინ პროფესიონალი ვბრუნდები“

ჩეხეთის სინოტ-ლიგაში მოთამაშე ტეპლიცეს ფეხბურთელი ზურაბ ცისკარიძე რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახეს.

ბევრისთვის ეს ფეხბურთელი უცნობია, ამიტომ ახლა ცოტა მეტი გვინდა მის შესახებ მოგიყვეთ. 29 წლის ფეხბურთელი საქართველოში დაიბადა, 5 წლის იყო, როცა თბილისი დატოვა, შემდეგ კი არაერთ ქვეყანაში მოუხდა ცხოვრება.

ცისკარიძე სხვადასხვა დროს ვარშავის ლეგიაში, ფრანგულ სეტში, ამერიკის მლს-ის მაიამიში, მონრეალ

იმფაქტში, რუსულ ამკარში, შემდეგ ისევ ამერიკაში – ბანგკოკ გლასსა და სან ანტონიო სკორპიონსში თამაშობდა. ახლა, როგორც გითხარით, ჩეხეთშია.

მშობლიურ ნაკრებში გამოძახებულმა ფეხბურთელმა პირველი განცხადება სოციალურ ქსელში გააკეთა.

– თბილისი, საქართველო. 29 წლის წინ მე აქ დავიბადე. ჩვენი ოჯახი ჰარმონიასა და სიყვარულში ცხოვრობდა იქამდე, სანამ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. ჩემი ცხოვრების პირველი ხუთი წელი ძალიან მშვიდ გარემოში გავატარე, შემდეგ კი ჩვენი გზები გაიყარა. დიდი ხნის განმავლობაში ვსწავლობდი სხვა ქვეყნის ენებს, კულტურას, რელიგიას...

საიდან ხარ? – ეს არის ყველაზე რთული კითხვა, რომელიც შეიძლება ნებისმიერმა ადამიანმა დამისვას. დიდი ხნის შემდეგ, მივხვდი, რომ ჩვენ ყველანი უნიკალურები ვართ. 25-წლიანი განშორების შემდეგ ბიჭი, რომელმაც საქართველო ცრემლებით დატოვა, შინ პროფესიონალი სპორტსმენის რანგში ბრუნდება, რომელმაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსება პირველად უნდა დაიცვას. ეს რომ წიგნი ყოფილიყო, ზოგი იტყოდა, რომ გამოგონილი ამბავია. თუმცა, ეს ნამდვილი ისტორიაა. ცხოვრებაში ბევრი ადამიანის მადლიერი ვარ. ცხოვრება გრძელი გზაა, ამიტომ მარტომ არ უნდა იარო.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

ავსტრალიელმა პენსიონერმა ნიანგების მოგერიება შეძლო

ავსტრალიაში 72 წლის პენსიონერი სამი საათის განმავლობაში ნიანგებს ხელთ მოხვედრილი საგნების დახმარებით იგერიებდა. მან მოახერხა არა მარტო საკუთარი თავის გადარჩენა, არამედ შეძლო, მტაცებელი რეპტილიებისგან დაეცვა თავისი დამხრჩვალი მეგობრის ცხედარიც.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტი ქალაქ დარვინიდან ჩრდილო-დასავლეთით 40 კილომეტრში მოხდა. ორმა ხანდაზმულმა მეგობარმა მდინარეზე ნავით გაისეირნა, მაგრამ მათი ნავი ნიანგმა გადააბრუნა. ერთ-ერთი დაიხრჩო, მეორემ ნაპირზე გასვლა მოახერხა, სადაც მაღალ ბალახებში აღმოჩნდა და რეპტილიებს გადააწყდა.

ცხოველების მოსაგერიებლად ის მათ ესროდა ნივთებს, რაც კი ხელში მოხვდებოდა, სახრახნისებს, მანქანის სანთლებს.

ის კიბორჩხალებზე მეთევზეებმა გადაარჩინეს, რომლებმაც მისი ყვირილი გაიგონეს. ისინი მას ნავში ასვლაში დაეხმარნენ, ასევე წყლიდან ამოიტანეს მისი დამხრჩვალი მეგობრის ცხედარი. შემდეგ შოკურ მდგომარეობაში მყოფი პენსიონერი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

80 წლის პოლონელებმა ღამის კლუბში მთელი ღამე იცეკვეს

ლონდონში ჩასულმა 80 წლის ვარშაველმა ცოლ-ქმარმა ადგილობრივ ღამის კლუბში დილის ხუთ საათამდე იცეკვა.

ხანდაზმულმა წყვილმა (მათი ვინაობა უცნობია) პოლონურ გაზეთში ლონდონის გასართობი დაწესებულებები ნახა და ბრიტანეთის დედაქალაქში თავიანთ ქალიშვილთან სტუმრად ჩასულებმა გადაწყვიტეს, ერთ-ერთი კლუბი მოენახულებინათ. მათ საღამოს წვეულების ბილეთები შეიძინეს. დაწესებულებაში დაახლოებით 22:00 საათზე მივიდნენ და იქ დილამდე დარჩნენ.

ღამის კლუბის პრომოუტერმა და დიჯეიმ ჯეიკობ ჰანსენმა თავიდან იფიქრა, რომ მოხუცები იქ შემთხვევით აღმოჩნდნენ, უცნობ ქალაქში გზა აერიათ. მისი თქმით, წყვილი ინგლისურად გაჭირვებით ლაპარაკობდა. ბოლოს მან სტუმრებს შორის ისეთი პიროვნება იპოვა, რომელიც პოლონურად ლაპარაკობდა და მისი დახმარებით გაარკვია, რომ მოხუცებს წვეულების ბილეთები ინტერნეტით ჰქონდათ შეძენილი. დიჯეი მათმა ისტორიამ ისე შეძრა, რომ მათთვის უფასო ტაქსი, ბართან ადგილი და ვიპზონაში შესვლა შეუკვეთა. დიჯეის თქმით, პენსიონერები მთელი ღამე მხიარულობდნენ, სვამდნენ და ცეკვავდნენ.



კანში ცნობილ პირებს შევარდნები იცავენ

საგანგებოდ გაწვრთნილი შევარდნები თოლიებს მოაშორებენ კანის სასტუმროში დაბინავებულ ცნობილ პიროვნებებს. ფრინველები უკვე შეუდგნენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

შევარდნების პროფესიონალ მწვრთნელ კრისტოფ პიუზენის თქმით, სასტუმროში ხუთი ფრინველი ბინადრობს. ისინი გაწვრთნილები არიან, რომ შენობის თავზე დაახლოებით 150 მეტრის სიმაღლეზე იფრინონ.

– თოლიები მტაცებელ ფრინველებს ხედავენ და სასტუმროს აღარ ეკარებიან, – განმარტა კრისტოფ პიუზენმა.

ამავე დროს, შევარდნები სასტუმროს ბინადართათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

– ჩვენ მათ ვკვებავთ, მათზე ვზრუნავთ. გარდა ამისა, ადამიანები მათთვის მეტისმეტად დიდი ნანადირევი იქნებოდნენ, – დაამატა პიუზენმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თოლიებს ადამიანების არ ეშინიათ, ვინაიდან ისინი მათ მუდმივად საკვებს უყრიან. ამ ყოველივეს შედეგად ისეც ხდება, რომ თოლიები ცდილობენ, ადამიანებს საკვები პირდაპირ თეფშიდან აართვან. ისინი ასევე სხდებიან მაგიდაზე და აყირავებენ ბოკალებს, თეფშებს, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ცნობილი პიროვნებები როგორ ძვირფას სამოსში არიან გამოწყობილი, ამის შედეგად დასვრილი ტანსაცმელი მათ ახალ თავსატეხს უჩენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
23 მაისისთვის

ვერძი – დღეს სასიცოცხლო პოტენციალი გაძლიერებას იწყებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დადებითად აისახება ქალების შრომის ნაყოფიერებაზე. თქვენი ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩება. **კურო** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ერიდეთ აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობას. იყავით წინდახედული და გარს მხოლოდ კეთილსაიმედო ხალხი შემოიკრიბეთ. **ტყუპები** – ახალი საქმის დასაწყებად არაკეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი აქტივობა უსარგებლო იქნება. **კირჩხიბი** – საკმაოდ მძიმე დღეა. თქვენი არაკეთილმოსურნეები გააქტიურდებიან და შეეცდებიან, ზიანი მოგაყენონ. **ლომი** – წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. კომპანიის სული და გული ხართ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. **სასწორი** – როგორც პირად, ისე სამსახურებრივ სფეროში პრობლემები გაქვთ. ნუ იაქტიურებთ. დღეს კარგი იქნება დასვენება ბუნებაში. **ღრიანკალი** – მომავალი თამამად დაგეგმეთ. დროებით გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **მშვილდოსანი** – იყავით თავშეკავებული ყველგან და საღად იაზროვნეთ. მატერიალური მდგომარეობის მხრივ სასაყვედურო არაფერი გაქვთ. **თხის რქა** – სანამ ახალ საქმეს დაიწყებთ, კარგად დაფიქრდით: ღირს კი? მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მერწყული** – აქტიური და დინამიკური დღეა. შორეულ ნათესავებთან ურთიერთობას ერთხელ და სამუდამოდ აღადგენთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად, ასევე ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

საერთაშორისო

სირია: მზადდება რაკას შტურმი

ქურთული ფორმირებებისა და სირიის დემოკრატიული ძალების გაერთიანებული ლაშქარი ისლამისტებს ახალ-ახალ დარტყმებს აყენებს. ტერორისტებისგან გაწმენდილია სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტი ალ-ჰაისი. ქურთებისა და სირიის დემოკრატიული ძალების გაერთიანებული ლაშქარი მიუახლოვდა რაკას, რომელიც ისლამურმა სახელმწიფომ დედაქალაქად გამოაცხადა.

მზადდება რაკას შტურმი. სირიაში სასწრაფოდ გადაფრინდა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის სარდალი, გენერალი ვოტელი. ის სირიაში მყოფ ამერიკელ სამხედრო მრჩევლებს შეხვდა.

საუბარი რაკაზე მოსალოდნელ შტურმს შეეხებოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კულტურა

„სამოსელი პირველი“ პრემიერისთვის მზადაა

გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი“ ზაზა მარჯანიშვილმა მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ დრამად აქცია და ის პრემიერისთვის მზადაა.



31 მაისს განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება პირველი სპექტაკლი, რომელშიც გაერთიანებულია საოპერო, საბალეტო, სახვითი ხელოვნების და დრამატული თეატრის ელემენტები.

„სამოსელი პირველის“ დამდგმელი რეჟისორი ლაშა ონიანია. ის სპეციალურად ამ პროექტისთვის გერმანიიდან ჩამოვიდა. ქორეოგრაფიაზე ლალი კანდელაკმა იმუშავა, კოსტიუმების ავტორი ანა კალატოზიშვილია, სცენოგრაფები ლევან სალუქვაძე და გელა იორდანიშვილი, დამდგმელი დირიჟორი საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, დავით კინწურაშვილი, პროექტის პროდიუსერი კი ზურაბ ლოლაძე.

სპექტაკლში მთავარ პარტიებს შეასრულებენ ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები თეა დემურიშვილი, ოთარ ჯორჯიკია, ნიკოლოზ ლაგვილავა, ირინა თაბორიძე, ირაკლი მურჯიკნელი, ეკატერინე სურმავა, ლალი კანდელაკი, დავით ანანელი, ასევე დრამატული თეატრის მსახიობები გოგა პიპინაშვილი, რეზო ჩხიკვიშვილი, ნანა შონია, მიხეილ გომიაშვილი, ანდრია გველესიანი და მრავალი სხვა. ოპერის თეატრის გუნდის და ორკესტრის გარდა, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ დრამაში ჩართულია ინსტრუმენტალისტთა ჯგუფი.

სპექტაკლს დავით კინწურაშვილი უდირიჟორებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სჯანგოხელი



1. იტალიური ღვეზელი; 2. ბატონი (ინგლისურად); 3. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 4. ქალბატონო (ინგლისურად); 5. ზამთრის ბეწვის პალტო; 6. ოთხიანი ნარდში; 7. ჩინური სალიტერატურო, საყოველთაოდ გასაგები ენა; 8. შეძახილი გასაჩუმებლად; 9. ქართული ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი; 10. ხის პარაზიტი მცენარე; 11. სამიანი ნარდში; 12. ჰავაური ხალხური ცეკვა; 13. მტაცებელი ცხოველი; 14. გარე სამოსი; 15. ...სტერლინგი; 16. ინფექციური დაავადება; 17. ყაზახეთის ფულის ერთეული; 18. საყანწე მასალა; 19. ბესო ... (კრიტიკოსი); 20. მუხის ნაყოფი; 21. მდინარე იტალიაში; 22. კუზიანი კურდღელი; 23. ... დეპარდიე; 24. გამკრავი (ქარი); 25. დამატებითი ტონი მუსიკაში; 26. სტუმრობით დამეგობრებული პირი; 27. ჯუჯა კამეჩი; 28. სამაგიდო თამაში; 29. საყანედ გაკაფული ტყე; 30. ხანა, ეპოქა; 31. ნიავი; 32. ამძრავ ღვედზე მოძრაობის გადამცემი ბორბალი; 33. ჭადრაკის ფიგურა; 34. ულაგმო აღვირი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხელების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პროცესი; 2. ნაბადი; 3. ახტაჯანა; 4. ნიკოტინი; 7. ვაშლოვანი; 8. მჭედლიძე; 12. „ზარზუელა“; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. ბერბიჭა; 19. იაგო; 20. „მომა“.

თარაზულად: 5. „ბრასკუბა“; 6. ჩიხთიკოპი; 9. პელოტა; 10. დურაჯი; 11. ჭენჭი; 13. „გაუდა“; 15. „ლამარა“; 18. პლაკე; 21. „ხვანჭკარა“; 22. ბეროუზი; 23. ჭორვილა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სპეკალი; 2. „ჩამპინო“; 3. ელარჯი; 4. „ბრაგა“; 5. ნოვატორი; 7. ტბა; 11. ვირუსი; 15. რომანსი; 16. „სალომეა“; 17. რამპა; 18. ცაიში; 20. სოფია; 22. რომი.

თარაზულად: 6. პიკეტი; 8. „მარტელი“; 9. შტატივი; 10. კანკავა; 12. დიჯეი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. კამპუსი; 21. ჰაკერი; 23. აბული; 24. ოპიუმი; 25. ქსილიტი; 26. დიპტანკი.

ფლორიდაში ალიგატორმა საზამთრო მოიპარა

ამერიკის ფლორიდის შტატში დანაშაულის ადგილზე იქნა დაკავებული ალიგატორი, რომელმაც ბაღიდან საზამთრო მოიპარა.

ეს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

– ჰენდრის ოლქში ალიგატორი ბაღიდან საზამთროს ქურდობის ფაქტზე იქნა დაკავებული, – გვამცნობს მინაწერი, რომელიც გაკეთებული აქვს ფოტოსურათს, რომელზეც ჩანს, თუ როგორ მიემართება მდინარისკენ ალიგატორი, რომელსაც პირით საზამთრო უჭირავს.

ამ ფოტომ შოკში ჩააგდო ბიოლოგი სტივ სტიგლერი, რომელიც ველური ბუნების შესწავლითაა დაკავებული. მან ალიგატორის ქმედება უკიდურესად უჩვეულოდ შეაფასა, ვინაიდან ეს ცხოველი საზამთროთი არ იკვებება.

სტიგლერის ვარაუდით, შესაძლოა, კონკრეტულად ამ ალიგატორს განუვითარდა ტკბილეულით გატაცება და ეს იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანები ხშირად უყრიან მდინარის ბინადარ მტაცებელ ცხოველებს სხვადასხვა საკვებ პროდუქტს.

ევა ლონგორია მესამედ გათხოვდა

ცნობილ სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, მსახიობი ევა ლონგორია, ლათინური ამერიკის უმსხვილესი მედიასააგენტო გრუპო ტელევისას დირექტორთა საბჭოს წევრ ანტონიო ბასტონზე გათხოვდა.

ქორწილი მექსიკაში, ტბის პირას მდებარე პატარა ქალაქში გაიმართა. ზეიმზე, რომელიც კერძო რეზიდენციაში იყო მოწყობილი, 200 ადამიანი იყო მიწვეული. ცერემონია მზის ჩასვლის ფონზე გაიმართა და, თვითმხილველთა მტკიცებით, მეტად რომანტიკული იყო.

– მათ საკურთხეველთან დაიწერეს ჯვარი. მათ თავს ზევით უამრავი სანთელი ენთო. ეს მეტად რომანტიკული იყო. ევას თმა გაშლილი ჰქონდა და მთელი ცერემონიის განმავლობაში იღიმებოდა. მას ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, – განაცხადა ერთ-ერთმა სტუმარმა.

პატარძლის საქორწინო კაბის შექმნაზე ვიქტორია ბექჰემმა იშრომა, რომელიც საქორწინო ცერემონიას მეუღლე დევიდ ბექჰემთან ერთად ესწრებოდა.

ეს მსახიობის მესამე ქორწინებაა. ის 2002-დან 2004 წლის ჩათვლით გათხოვილი იყო სერიალ „მთავარი საავადმყოფოს“ ვარსკვლავ ტაილერ კრისტოფერზე, ხოლო 2007 წლის 7 ივლისს ცოლად გაჰყვა ფრანგ კალათბურთელ ტონი პარკერს. წყვილი ერთმანეთს 2011 წელს დაშორდა.

სამგლოვიარო განცხადებები

შვილები მერაბ, მაკა გვალიები, შვილიშვილები ეკა, ბექა გვალიები, თეიკო, თამარ ჩიკვილაძეები, სიძეები მიხეილ ჩიკვილაძე, ნაპოლეონ მილორავა, შვილთაშვილები ნიკოლოზ, ალექსანდრე მილორავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე გვალია

დაკრძალვა: სამშაბათს, 24 მაისს, 15 საათზე;

გამოსვენება: წმინდა პანტელეიმონის სახელობის ტაძრიდან;

მისამართი: გ.რჩეულიშვილის №12 (ვერის სასაფლაო).

რძალი ციალა შელია, დისშვილები თამაზ, ლიკა გაბუნიები, ძმისშვილები მარინა, მანანა, ბადრი, გიზო კონსტანტინოვები ოჯახებით იუწყებიან

ელენე გვალია-კონსტანტინოვას

გარდაცვალებას.

ბასლანძეების საგვარეულო დიდი გულისტკივილით იუწყება გვარის საამაყო და სასახელო შვილის, თავის ქვეყანაზე, კუთხეზე, მამულზე უზომოდ შეყვარებული, კეთილშობილი პიროვნების

ბონდო ვალიკოს ძე ბასლანძის

გარდაცვალებას.

ნუგზარ და როლანდ (ჯუბა) ბასლანძეები ოჯახით იუწყებიან

ბონდო ვალიკოს ძე ბასლანძის

გარდაცვალებას.

ჩვენო ძვირფასო, შენი სული შეუერთდა რჩეულთა ხვედრის მარადისობას. დროთა სიშორე ვერ დაგვავიწყებს შენს ნათელ სახეს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

იტალიაში მსოფლიოში ყველაზე გრძელი პიცა დაამზადეს

იტალიის ქალაქ ნეაპოლში მსოფლიოში ყველაზე გრძელი პიცა გამოაცხვეს. მისმა სიგრძემ 1854 მეტრი შეადგინა.

სარეკორდო პიცის დამზადებაში 250 მზარეული მონაწილეობდა, რომლებსაც ამისთვის ექვსი საათი და 11 წუთი დასჭირდათ. იმისთვის, რათა ჩანაფიქრი განეხორციელებინათ, იტალიელ ოსტატებს დასჭირდათ ორი ათას კილოგრამზე მეტი ფქვილი, 1,6 ათასი კილოგრამი ტომატი, ორი ათასი კილოგრამი ყველი მოცარელა, ათი ლიტრი ზეითუნის ზეთი და 30 კილოგრამი ბაზილიკა.

კულინარიული მიღწევა გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რის შემდეგაც დაჭრილი კერძის ნაჭრები რამდენიმე საქველმოქმედო ორგანიზაციას დაურიგეს ქალაქის გაჭირვებული მცხოვრებლებისთვის დასარიგებლად.

ნეაპოლის პიცერიის მზარეულ ალესანდრო მარინაჩის თქმით, მსოფლიო რეკორდის დამხობის სურვილი პრინციპის საქმედ იქცა, ვინაიდან ადგილობრივი მზარეულები მშობლიური ქალაქის ღირსების დაცვაზე ოცნებობდნენ. ადრინდელი რეკორდი 2015 წელს მილანში დაფიქსირდა.

ნეაპოლი თავს კლასიკური იტალიური პიცის სამშობლოდ მიიჩნევს. აქ პირველად პიცის დამზადება 1520 წელს დაიწყეს.

ბელა ჰადიდი საზოგადოების წინაშე თეძომდე ჩახსნილი კაბით წარდგა

ამერიკელი ტოპმოდელი ბელა ჰადიდი კანის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზე თეძომდე ჩახსნილი კაბით წარდგა.

ფესტივალის სასახლის კიბეზე ასვლისას ქარმა მოდელს მეტისმეტად აუფრიალა ალისფერი კაბა.

19 წლის ჰადიდი ფილმ „უცნობი გოგონას“ პრემიერას დაესწრო. ლაჟვარდოვან სანაპიროზე ის მაისის დასაწყისში ჩავიდა და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროში გაჩერდა.

ბელა მეორე ცნობილი მოდელის ჯიჯი ჰადიდის უმცროსი დაა. ისინი ლოს-ანჯელესში სამშენებლო კომპანიის მფლობელ მოჰამედ ჰადიდისა და მოდელ იოლანდა ფოსტერის ოჯახში დაიბადნენ და გაიზარდნენ.

გოგონები ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად თანამედროვე მანეკენებად ითვლებიან. ავსტრალიაში მოდის კვირეულის ფარგლებში ერთ ფეშენჩვენებაში მონაწილეობისთვის, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბელა ჰადიდს 400 ათასი დოლარი გადაუხადეს.

მაიამელი დები ბელფის გამოქვეყნებით გამდიდრდნენ

დები დანა და ნადია, რომლებიც ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამიში ცხოვრობენ, ფულს, თვეში დაახლოებით 30 ათას დოლარს, საკუთარი ინსტაგრამ-აკაუნტის დახმარებით მას შემდეგ შოულობენ, რაც დუნდულებზე ოპერაცია გაიკეთეს და ბელფის (სხეულის უკანა ნაწილის ფოტოპორტრეტი) რეგულარულად გამოქვეყნება დაიწყეს. ამის თაობაზე ჟურნალისტებს თავად გოგონებმა განუცხადეს.

30 წლის ტყუპმა დებმა განაცხადეს, რომ საკუთარ აკაუნტში სხვადასხვა საქონლის რეკლამების განთავსებით გამდიდრდნენ. მათ 714 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავთ. დებს იმედი აქვთ, რომ კიდევ უფრო მეტ თანხას გამოიმუშავებენ საკუთარი ბელფის მობილური დამატების სუპესთვის მიყიდვით (მისი დახმარებით მომხმარებლები ფოტოსურათებისა და ვიდეოების შეძენას მოახერხებენ).

დების მტკიცებით, გლიუტეოპლატიკაზე დახარჯული თანხა 58 ათასი დოლარი უკვე აინაზღაურეს სოციალურ ქსელში მათი გვერდის პოპულარობის წყალობით.

არგენტინაში დაბადებულმა დანამ და ნადიამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ სხეულის მდიდრული ფორმებით, მაგრამ გადაწყვიტეს, ეს ფორმები კიდევ უფრო შთამბეჭდავი გაეხადათ და სწორედ ამიტომაც მიმართეს პლასტიკურ ქირურგიას.

ბრიტანელმა პოლიციელებმა მოკლული ქალის ფიგურა ქვიშისგან გააკეთეს

ბრიტანეთის ქალაქ პერანპორტის პლაჟზე პოლიციელებმა ქვიშისგან გამოძერწეს გაშიშვლებული მოკლული ქალის ფიგურა, რისი წყალობითაც მოყვარული მოქანდაკეების კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა ფიგურის სურათი, რომელმაც პირველი პრიზი მიიღო, თავიანთი განყოფილების ტვიტერ-აკაუნტში გამოაქვეყნეს, ინტერნეტმომხმარებლებმა მათ კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხეს თავს და კომენტარებში პოლიციელები უგემოვნობასა და სტერეოტიპულ აზროვნებაში დაადანაშაულეს.

აღშფოთებულთა რიგებს შეუერთდა მეზობელ ქალაქ ფალმუტის ქალაქის საბჭოს წევრი ჰანა ტომასი. მას მიაჩნია, რომ მსგავსმა ქანდაკებამ, რომელიც ქალაქის სანაპიროზეა გაკეთებული, შესაძლოა ზოგიერთ ადგილობრივ მცხოვრებს მათი დაღუპული ახლობლები გაახსენოს.

პოლიციის განყოფილების წარმომადგენელმა კონკურსის მონაწილეთა სახელით მოიბოდიშა და განაცხადა, რომ მის კოლეგებს არ ჰქონდათ განზრახული, საკუთარი შემოქმედებით ვინმეს გრძნობებისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

კანადელმა წყვილმა ქორწილში ათასი კატა მიიწვია

ცხოველების მოყვარულმა კანადელმა წყვილმა გადაიხადა ქორწილი, რომელსაც 1000 კატა ესწრებოდა.

დომინიკ იუსონი და ლუზი ვერონო კვებეკიდან სპეციალურად კალიფორნიაში კატების თავშესაფარში ჩავიდნენ. მათ თავშესაფრის დამაარსებელი ლინეა ლატანციო იმაზეც კი დაიყოლიეს, რომ რელიგიური ცერემონიის ჩატარების უფლება მიეღოთ.

– ჩვენ ძალიან გვიყვარს ცხოველები, ამიტომ ეს გადაწყვეტილება ადვილად მივიღეთ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში იუსონმა. თავის მხრივ, ვერონომ აღნიშნა, რომ ლატანციოსა და მისი გუნდის საქმიანობით აღფრთოვანებულია.

ქორწილი 17 მაისს შედგა. საჩუქრების ნაცვლად წყვილმა ნათესავებსა და მეგობრებს თავშესაფრისთვის შემოწირულობების გაღების თხოვნით მიმართა.

ლატანციოს ცხოველთა თავშესაფარში კატები ვოლიერებში არ არიან გამომწყვდეულები და მის ტერიტორიაზე თავისუფლად დასეირნობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 23 მაისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10 "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** "რა სურთ ქალებს" **12.30** "ხაზის რადიო" **13.15** ხალხური მუსიკა "ჩაკრულო" **14.00** "მოამბე" **14.10** "თეატრალური შეხვედრები" **14.50** რადიოთეატრი **13.30** "ხაზის რადიო" **16.45** "ეკონომტრი" **17.05** კლასიკური მუსიკა **19.00** "ხაზის რადიო" **19.25** "ოქროს ფონდი" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **23.00** "მუსიკალური შეხვედრები" **00.10** "კომუნიკატორი" **01.20** მხ/ფ "**ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲕᲘᲐ**" (ა.ბოლდუინი) **03.10** "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **09.00** მხ/ფ "**ᲑᲔᲗᲘᲡᲝᲕᲔᲜᲘ-2**" **10.30** დ/ფ "იორდანია – უდაბნოს სამეფო" **11.00** ქართ. მხ/ფ "**ᲛᲔ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ**" **12.30** დ/ფ "შოტლანდია" **13.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**ᲜᲘᲙᲘᲢᲐ**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ᲑᲐᲑᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ**" **11.20** სერ. "**ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲘ**" **20.55** სერ. "**ᲔᲚᲘᲤᲘ**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** მხ/ფ "**ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲧᲣᲠᲐ**" **02.35** მხ/ფ "**ᲪᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛ ᲛᲔᲢᲠᲖᲔ - 2**" **04.30** სერ. "**ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ**"

06.30 სერ. "**ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ᲥᲐᲠᲐᲓᲐᲘ - ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ**" **16.55** სერ. "**ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐ**" **18.45** სერ. "**ᲨᲔᲜ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ**" **19.45, 20.05** სერ. "**ᲨᲔᲜᲘ ᲖᲝᲓᲘᲐᲥᲝᲡ ᲤᲔᲠᲘ**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲠᲝᲛᲔᲑᲘ**" **9.00, 19.30** სერ. "**ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ**" **10.00, 18.30** სერ. "**ᲙᲐᲠᲒᲘ ᲪᲝᲚᲘ**" **11.00** სერ. "**ᲒᲠᲔᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ**" **13.00** სერ. "**ᲫᲕᲚᲔᲑᲘ**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ**" **23.40** სერ. "**ᲯᲝᲯᲝᲮᲝᲔᲗᲘ ᲑᲝᲠᲒᲑᲚᲔᲑᲖᲔ**" **0.40** მხ/ფ "**ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲪ ᲬᲐᲛᲨᲘ**"

06.10 მუს.პაუზა **06.15** ევერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ᲛᲝᲛᲢᲐᲪᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲥᲐᲚᲘ**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "**ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ**" **17.10** დ/ფ"კახა ზარნაძე" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ᲠᲝᲪᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲐ ᲜᲣᲨᲘ**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"-**33** (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**ᲨᲐᲕᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**ᲙᲐᲠᲛᲔᲚᲘᲢᲐ ᲑᲝᲨᲕᲠᲘ ᲕᲔᲑᲐ**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ᲥᲐᲚᲘᲗᲐ ᲔᲥᲘᲛᲘ**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ᲤᲐᲠᲗᲝᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**ᲣᲪᲮᲝ**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 მაისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.1460
- ევრო — 2.4067
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1267
- 100 რუსული რუბლი — 3.2119

ამინდის პროგნოზი 23 მაისისთვის

20 მაისიდან

ნოდარ დუმბაძე
თეთრი ბაირაღები



ეს გამოცემა იმითაცაა განსაკუთრებული, რომ წიგნს ერთვის რამდენიმე ფრაგმენტი რომანის ხელნაწერი ვერსიიდან, ასევე მწერლის მეუღლის, ნანული დუმბაძის, მიერ ციხეში შეგზავნილი ბარათები.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

24 მაისიდან

ერიხ მარია რემარკი
ტრიუმფალური თაღი

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

კატა მეგობარი გოგონას ნაცვლად

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა, რომელიც გამოსაშვები საღამოსთვის პარტნიორი გოგონას გარეშე დარჩა, წვეულებაზე საკუთარი კატა მიიწვია.



17 წლის სემ სტაინგარდმა შინაური ცხოველის, სახელად რუბისთვის, მოამზადა კაბა და ვარდისფერი ფეხსაცმელი. თავად ახალგაზრდა კოსტუმსა და პეპელა ჰალსტუხში გამოეწყო.

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ სემი საყვარელი ცხოველის წვეულებაზე წაყვანას არ აპირებს, ვინაიდან ის ფიქრობს, რომ კატა იქ თავს არაკომფორტულად იგრძნობს. თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, კატასთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაეღო და ის საკუთარ პარტნიორად წარმოედგინა.

სემის ძმამ ფოტოსურათი სოციალურ ქსელში განათავსა, სადაც მან ერთ დღე-ღამეში 800 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

კატა ხვლიკს დაუმეგობრდა

ამერიკის პენსილვანიის შტატში კატა, სახელად ბეიბი, დაუმეგობრდა ხვლიკს, სახელად ჩარლზს.

ცხოველების პატრონ შეიენ მარჩის თქმით, ის ნერვიულობდა იმის გამო, რომ მისი ცხოველები საერთო ენას ვერ გამონახავდნენ და მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ისინი დამეგობრდნენ და დროის უმეტეს ნაწილს ერთად ატარებენ.

20 წლის ამერიკელი გოგონა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე რეგულარულად აქვეყნებს ფოტოსურათებს, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ ეხუტებიან ერთმანეთს ბეიბი და ჩარლზი, როგორ სძინავთ ჩახუტებულებს, ერთად თამაშობენ და ჭამენ.

გოგონას გვერდს სოციალურ ქსელში 1,4 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

ცოლ-ქმარი მანქანით მგზავრობს და თან კამათობს. ამ დროს სოფლის გზაზე ღორებს ჩაუარეს გვერდით და ცოლი ქმარს ეუბნება:

– მგონი, შენი ნათესავები არიან, არა?

– კი, ჩემი სიდედრი და სიმამრი!

...

მილიარდერმა რესტორანში ისადილა და ოფიციანტს მომსახურებისთვის მხოლოდ 2 დოლარი მისცა.

ოფიციანტი ეუბნება:

– გუშინ თქვენმა შვილმა ჯიბის ფულად 100 დოლარი დამიტოვა, თქვენ კი მხოლოდ 2 დოლარი გაიმეტეთ?!

– ის მილიარდერის შვილია, მე კი ფერმერის...

...

ომში ვალოდა რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად ტყვედ ჩავარდება. ჯერ ერთს გაიყვანენ და ეკითხებიან:

– სად არის თქვენი რაზმი დისლოცირებული?!!

არ უპასუხა და დახვრიტეს. გაიყვანეს მეორე, მასაც იგივე კითხვა დაუსვეს, არ უპასუხა და ისიც დახვრიტეს. ასე გამეორდა სხვებთანაც, ბოლოს ვალოდა დარჩა, შეიხედავენ საკანში და ხედავენ, ვალოდა გაქანდება, თავს კედელს მიარტყამს და იძახის:

– გაიხსენე, ლა, გაიხსენე...

...

ყოფილი ქმარი შვილს ყოფილ ცოლთან ალიმენტს გაატანს, ფოტოაპარატსაც მისცემს და ეუბნება:

– რომ მიხვალ, დედაშენს გადაეცი, რომ ეს ბოლო გადასახადია, რადგან 18 წლის ხდები და მერე ამ ფოტოაპარატით სურათი გადაუღე, მინდა, მაგ დროს მისი სიფათი ვნახო.

შვილი მივიდა დედასთან და ფულიც და მამის დანაბარებიც გადასცა.

– ეგ ფოტოაპარატი რაღად გინდა? – ეკითხება დედა.

– მამამ გამომატანა, რომ ამ დროს სურათი გადაგიღო, უნდა, შენი სახე ნახოს ამ დროს.

– ახლა დაბრუნდი მამაშენთან და გადაეცი, რომ ეს წლები სხვისი შვილის ალიმენტს იხდიდა და მერე მაგ ფოტოაპარატით გადაუღე სურათი. მეც მინდა მაგ დროს მისი სიფათის ნახვა.

...

მამა შვილს პურზე გააგზავნის და ეუბნება:

– თუ ერთ მაღაზიაში არ იქნება, მეორიდან წამოიღე.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი სახლში ხელცარიელი დაბრუნდა და მამას ეუბნება:

– ორივეში იყო და რომლიდან წამოვიღო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 მაისიდან

ჯეკ ლონდონი
ზღვის მგელი

თავგადასავალი, ფანტასტიკა. ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



„გადმოირბენენ — მოგკლავენ, გადავირბენთ — ვუცეკვებთ“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე სოფელ ხურჩაში რუსი ოკუპანტის მიერ 30 წლის გიგა ოთხოზორიას მკვლელობას ეხმაურება.

გიორგი კეკელიძე:

– იმ ქვეყანაში ათასობით ჩვენი მოქალაქე მუშაობს. ყველა წამსვლელ-წამომსვლელის მოღალატედ გამოცხადება არაგონივრული მოსაზრება მგონია.

თუმცა, როცა საქმე სიმბოლურ ჟესტებს ეხება და სწორედ ასეთია საგანგებო კონცერტები, კიდევ უფრო გამიმძაფრდა დამოკიდებულება: გადმოირბენენ – მოგკლავენ, გადავირბენთ – ვუცეკვებთ.

მაია დარსმელიძე: „რუსებს ისევ მივუტევოთ და უფრო ღრმად შევეტენოთ?“

მომღერალი მაია დარსმელიძე ოკუპანტების მიერ ქართველი ახალგაზრდის მკვლელობას ეხმაურება და დღისით, მზისით, ხალხის თვალწინ გიგა ოთხოზორიას მკვლელობას აპროტესტებს.

მაია დარსმელიძე:

– ახლა მაინტერესებს გიგა კვენეტაძეებისა და სხვა დანარჩენი ვიწიოკმადიდებლების აზრი „ერთმორწმუნე რუსზე“, რომელიც ასე, უკვე პირდაპირ ხალხის თვალწინ, დღისით, მზისით გვკლავს.

ისევ მივუტევოთ და უფრო ღრმად შევეტენოთ, რომ „უარესად არ გავაღიზიანოთ“, თუ ოდესმე მაინც უნდა გაგვახსენდეს ჩვენი საამაყო ისტორიული მომენტები და ის, რომ ღირსება იყო, ყველაზე მეტად რითიც ვამაყობდით?

იქნებ დროა, დაფიქრდეთ ის ტიპები, ვინც „გულში ან საძმაკაცოში აღიარებს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ საპროტესტო აქციაზე არ მიდის ამ აქციის ორგანიზატორის გამო“, რომ თქვენთვის სიმპათიურ და სასურველ ორგანიზატორს მსგავსი აქციის ჩატარება არც აქამდე მოსვლია აზრად და არც არასდროს მოუვა?

თავს ნუ ისულელებთ, ვინმეს რომ ნდომოდა, უკვე ცხრაასჯერ ჩაატარებდა. დროა ტვინი გაანძრიოთ და ყოველგვარი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიუხედავად მოხვიდეთ ყველა, ვინც თვლით, რომ რუსეთი არის ოკუპანტი!!!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„ზიტა და გიტას“ ვარსკვლავი საპატრიარქოში დააჯილდოვეს

ცნობილი ინდური ფილმის „ზიტა და გიტას“ ვარსკვლავი ჰემა მალინი საპატრიარქოში დააჯილდოვეს.

საქართველოს კულტურის პალატის ინიციატივით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ინდოეთის ვარსკვლავი საპატრიარქოში მიიღო.

ჰემა მალინის ქველმოქმედებისთვის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა საპატიო ჯილდო გადასცა. ეს არის მინანქრის გულსაკიდი, რომელსაც გულის ფორმა აქვს. როგორც ინდოელმა მსახიობმა განაცხადა, ეს ჯილდო მისთვის განსაკუთრებულია.

დავით ოქიტაშვილის განცხადებით, ჰემა მალინი დაეხმარება პალატის შვილობილს, ლუკა ჩხარტიშვილს, რომელსაც რამდენიმე უმძიმესი დაავადება აქვს.

ინდოელი მსახიობი საქართველოს პატრიარქმაც დაასაჩუქრა. ილია მეორემ მას გადასცა ნახატი, პატრიარქის მიერ დაწერილი საგალობლების დისკი და ეპისტოლეების კრებული ინგლისურად. როგორც მისმა უწმინდესობამ განაცხადა, ის ინდოეთში ნამყოფია და ის დრო ყოველთვის კარგად ახსენდება:

– საქართველოს ძალიან უყვარს ინდოეთი. ორჯერ ნამყოფი ვარ ინდოეთში. შეხვედრა მქონდა ინდირა განდისთან, პრეზიდენტთან. ვიყავით შტატ კერალაში. იქ მართლმადიდებელი ეკლესიაა. თქვენ ძალიან ცნობილი ბრძანდებით მთელ მსოფლიოში და ძალიან მოხარული ვართ, რომ საქართველოში ჩამობრძანდით, – განაცხადა ილია მეორემ.

ჰემა მალინიმ სურვილი გამოთქვა, კიდევ ერთხელ იხილოს საქართველოს პატრიარქი ინდოეთში. ილია მეორის თხოვნით, მსახიობმა ინდური ცეკვა შეასრულა და ცეკვის თითოეული ილეთის მნიშვნელობაც განმარტა.

შეხვედრის დასასრულს ჰემა მალინიმ მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისთვის და აღნიშნა, რომ ეს დღე არასოდეს დაავიწყდება.

ჯოსვოხდი

თარაზულად: 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული პირი; 6. ხილი; 7. მამაცი, შეუპოვარი; 8. ლორწოვანი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე; 10. დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 13. მგალობელი ფრინველი; 15. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო; 16. ... ფიროსმანი; 17. სასწორის თეფში; 20. ... წვიმა; 21. რეკორდების წიგნი; 22. ფხვნილი სარეცხის მანქანისთვის; 23. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი.

შვეულად: 1. წერის უნარის მოშლა; 2. მოძღვრება დაავადების წარმოშობის მიზეზებზე; 3. დიდი სახაზავი; 4. მეზღვაურთა მაუდის კურტაკი; 5. დიდი ხვლიკი; 9. ფენა. შრე; 11. ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი; 12. არარსებულის წარმოსახვა; 14. ფეოდალური ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი; 18. კაენის ძმა; 19. მოკუმული ხელის თითები.



შეადგინა ოლივერ კოხიამ